

K 30235  
N 2

იგ. ჯავახიშვილი

მ.კ. 2015-5358

მამულიშვილობა

K 30235  
2

და მემკვიდრეობა



თბილისი  
მლ.-პეჩ. გრუზ. ივდ. ტ—ვა. ელ.-სტამბა წიგ. ე. ქ. ა—სა  
1904

Дозволено цензурою, Тифлисъ. 16 апрѣля 1904 г.

## მამულიშვილობა და მისნიერება

ჩვენში ხშირად იბეჭდება ხოლმე ისეთი წიგნები თუ წერილები, რომელთა შინაარსს განათლებული კაცი ვერ დაეთანხმება; მაგრამ როცა თხზულება სუსტად არის დასაბუთებული და ავტორიც ისეთ მოღვაწეთა ჯგუფს არ ეკუთვნის, რომელთაც პირადად დიდი გავლენა აქვთ, მაშინ შეიძლება კაცმა წიგნს თუ სტატიას უერი არ ათხოვოს; ხოლო როცა რომელსამე გავლენიან და დამსახურებულ მწერალს თავის თხზულებაში შემცდარი და საზოგადოებისათვის მავნებელი აზრები აქვს გამოთქმული, თვითვეული განათლებული ქართველი უნებრივად მოვალეა უუერადლებოდ არ დასტოვოს წიგნი: ავტორის პირად გავლენის წყალობით შემცდარი აზრები-კი ადვილად ვრცელდება საზოგადოებაში.

პატივცემულ აკობ გოგებაშვილის თხზულებას „ბურჯი ერთუნებისა“ (2 გამოც) ისეთი წიგნი განსაკუთრებით უუერადლებოდ დატოვება არ შეიძლება: ბ-ნ გოგებაშვილს ჩვენში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, იმის აზრს და შესედეულებას საზოგადოება უუერადლებით ისმენს ხოლმე. ამიტომ შესაძლებელია ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ ამ წიგნიდან ზოგიერთი შეიძდარი აზრები შეითვისოს, რომელთა გავრცელება ჩვენის წარმატებისათვის ფრთხილად მავნებლად უნდა

ჩაითვალოს. ამ აზრების კრიტიკული განხილვა უფრო იმიტომ არის საჭირო, რომ ამგვარ შეხედულების მომხრე, რამდენადაც მე ვიცი, მართლ ბ-ნი გოგებაშვილი არა ბრძანდება, — ჩვენის საზოგადოების ერთი ნაწილი ამნაირსავე აზრებს აღიარებს.

რასაკვირველია, ბ-ნი გოგებაშვილის წიგნის დედა აზრი, — რომ დედაენას ერისა და კერძო პირების განვითარებასა და წარმატებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დედაენა წარსულ და თანამედროვე ეროვნებას ცხოვრების სარგება, — სრული ჭეშმარიტება განლავნო. ამ საგანზე კი არა, სულ სხვა, ერთ ფრიად საუურადღებო საკითხზე სიტყვის ჩამოგდებას ვაპირებ. ამ საგანს თვით ბ-ნი გოგებაშვილი ეხება. მაგრამ, ვიდრე საქმეს შევუდგებოდე, ვიტყვი გაკვირვებით მხოლოდ, რომ ენის მნიშვნელობის შესახებ გერმანულად და ფრანგულად შრავაძეი საუცხოო თხზულება არსებობს, რომლებშიც კაცობრივით უფრო უკეთესად, სარეზონანსად და ცხადად არის გამოთქმული ის საკითხი, რომელსაც ბ-ნი გოგებაშვილი ეხება. ჯერ-ჯერობით ჩემთვის საინტერესოა ბ-ნი გოგებაშვილის წიგნის ის ნაწილი, სადაც იგი ერთ დიდმნიშვნელოვან და არსებითს საკითხს ეხება. მოკლედ რომ ითქვას, ეს საკითხი მეტონიერის მამულიშვილურ მოვალეობას შეეხება, ან როგორც სათაურშია ნათქვამი „მამულიშვილობა და მეტონიერება“. ამ უმთავრეს საკანის განხილვის დროს ბ-ნი გოგებაშვილი ეხება აგრეთვე ბევრ ისეთ საუურადღებო და დიდმნიშვნელოვან საკითხს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ჩვენის საზოგადო საქმის მიმდინარეობისთვის.

მაგრამ სჯობია ჯერ თვით ბ-ნი გოგებაშვილი ვაღაზარაკოთ: ბ-ნი გოგებაშვილი ბრძანებს:

„ევროპაში, მეტადრე ბოლო ხანებში ყველა პატარა ერი, დიდს სახელმწიფოებთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქმნას თავისი ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. საუკეთესო დონისძიებად ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრების ღირსებისა, დეაწლისა, თავისებურობისა. ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი; ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებები მცირდებიან, მაგრამ მას სარჩულად უძევს უწმინდესი გრძნობა—მამულის სიყვარული—და უზენაესი მიზანი—დაცვა თავისი ერის სიცოცხლისა... ჩვენ შორის რაღასა ვხედავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა“...

ბ-ნი გოგებაშვილსა ჭკონია, როგორც ეტყობა, ვითომც მხოლოდ იმ ერსა ჭკონდეს განხიერი უფლება შეიძინოს თავისი დედაენა და კულტურა, რომელსაც ბრწყინვალე წარსულით თავი მიაქვს. აგრე რომ ყოფილიყო, მაშინ რა უნდა ექმნათ ნორვეგიელებს, რომელთა ერფუნულადორძინება დიდი ხანი არაა რაც დაიწყო; რა უნდა ექმნათ ფინებს, —მათაც ხომ კაცობრიობის წინაშე წარსულში არავითარი დეაწლი არ მიაუძღვით, ამ ერთის საუკუნის წინად სამშობლო ენაზე არც სამეცნიერო, არც ხელოვნური მწერლობა თითქმის სრულებით არ მკეპოვებოდათ. საქმე რომ ეგრე დატრიალებულიყო და უკუეგან დედამაწის ზურგზე მხოლოდ ამა თუ იმ ერფსების წარსულ დეაწლის სიდიადის მიხედვით მიენიჭებინათ ნაციონალურ განვითარების უფლება, არა მგონია, დიდი სარგებლობა მკეტანა დაჩაკრულ ერთათვის. ერთი ჭკითხოს კაცმა, ვინ უნდა გადასწევტოს, მართალი ბრძანდებიან თუ არა „ადვოკატურ, გა-

მოსაჩვენებთი“ თხზულებების მწერალი, მიუ-  
ძღვის მართლა ამა თუ იმ ეროვნებას კაცობრიო-  
ბის წინაშე საკმაოდ დავაწლი თუ არა, საკმაოდ უნა-  
ჩი და ფხა გამოიჩინა, რომ ნება ჰქონდეს ცო-  
ტად არის მაინც ეროვნული თვისუფლება მოი-  
თხოვოს? რასაკვირველია, შებატონე ერმა. მერე  
გამწვაგებულ ეროვნულ ბრძოლის დროს განა მო-  
სალოდნელი არ არის მძლავრმა, შებატონე ერმა  
სთქვას, თქვენ საკმაოდ ნიჭი ვერ გამოიჩინეთ და  
ამიტომ უფლებების დირსი არა ბრძანდებითო?  
ოდინდაც რომ შესაძლებელია. მოვიგონოთ, მაგ.,  
რა საბუთი წამოაყენეს გერმანელებმა, როცა ისინი  
ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერატორს სთხოვდნენ,  
ჩეხების ენას გერმანულის თანასწორ უფლებებს  
ნუ მიანიჭებთო? სწორედ ის საბუთი, რომელიც  
ბ-ნ გოგებაშვილს გულით მოსწონს: ჩეხები იმ-  
დენად მაღალ-კულტურის მოკლებული ხალხია,  
რომ გერმანულ ენის შესუსტება კულტურის გა-  
ქარწყლებას მოასწავებსო.

მერე მართალია ესა? ჩეხებს, თქვენც მოგეს-  
სენებათ, ერთ დროს ბრწეინვაღე ხანა ჰქონდათ  
და კაცობრიობას იან გუსი შესინეს. მაგრამ გამ-  
წვაგებულ ეროვნულ ბრძოლის დროს შებატონე  
ხალხის წარმომადგენლებს იანი არც-გი მოჰგონე-  
ბიათ.... მკითხველს-გი არ ეგონოს, რომ ეს ავ-  
სტრო-ჰუნგრეთის იმპერატორისადმი მიწერილი  
გერმანელების მოხსენება ვიდაც ბიჭ-ბუჭების შე-  
დგენილი იუოს, — თვით სახელაფანი, აწ განსგე-  
ნებული მეცნიერი, ისტორიკოსი თეოდორე მამ-  
ზენი და ბევრი სხვა კიდევ გამოჩენილი მეცნიერ-  
ნი აწერდნენ ხელს. მაგრამ გერმანელთა თხოვნამ  
ვერც გასჭრა და ვერც გასჭრიდა. რატომ? ვითომ  
იმიტომ, რომ ჩეხებმა მეცნიერებმა გერმანელთა

განათლებულ საზოგადოებას დაუმტკიცეს ბ-ნ გოგებაშვილის მიერ უებარ წამლად ცნობილ საშუალებით — „ადვოკატური გამოსარჩლებით“, თავისთავს ერკვნულ ღირსებათა გაზვიადებით და ნაკლებუფასებათა შემცირებით? რასაკვირველია, არა. ჩვენმა თუ რაიმე უფლება მიიღეს, მხოლოდ კულტურის აღორძინებით, ეკონომიურ წარმატების და ჰარლამენტის ბრძოლის წყალობით. რამდენიც უნდა ეწერათ ჩვენს მეცნიერთა ბ-ნ გოგებაშვილსებურ „ადვოკატური“ თხზულებები, ვერაფერს ვერ ეღირსებოდნენ ისინი, თუ კი საზოგადოების გამომთხიზლებით და ჰარლამენტში ბრძოლით გამარჯვებულნი არ გამოსულყვნენ. ბ-ნ გოგებაშვილს კი ამისთანა მიმართულების გავრცელება სწადიან ჩვენ საზოგადოებაში.

მაგრამ თუ ეს მიმართულება ერკვნულ უფლებათა მოსახლებლად სრულებით გამოუსადეგარი განლავთ, იგი ჩვენ საზოგადოებრივ და ნაციონალურ საქმისათვის, პირიქით, ფრიალ მავნებლად უნდა ჩითვალდეს, იმიტომ რომ საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელდება, ვითომც საჭიროა მხოლოდ „ადვოკატურ გამოსარჩლებით“ ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოო კულტურა ჰქონდათ ოდესღაც, რომ საქმე კაინარხის და გვითხრახ, მოგვინიჭების უკვალა უფლებათ. ამნაირად საზოგადოება წყალობის მოლოდინს ეჩვენავ და ამის გამო თითონ, როგორც მომლოდინეს შეეფერება, არასაკეთებს. ჩვენში ერთობ ძალიან არის გავრცელებული ეს „მოიდეთ მოწყალების“ პოლიტიკა: თავად-აზნაურობას ჰგონია, მაგ., რომ საკმარისია თავისი სურვილი და გულისხმადები შეატყობინოს ვისაც

ჯერ არს და თანაც მოაგონოს, რომ მათი წინა-  
 ხარნი ჩოლოყის და დადისტინის ომებში გულა-  
 დად იწოდდნენ, რომ მაშინვე ერობაც მიენი-  
 ჭოთ, ნაფიცი მსაჯულთა დაწესებულებაც და სა-  
 ხელმწიფო ბანკის („პრიაკაზის“) ვალებიც ეპა-  
 რიოთ. რამდენი იყო ჩვენში ამ ვალების პატი-  
 კის მოიძედე, იმის მაგივრად, რომ პირადი  
 ვამჭრისობით და მუშაობით თავიანთი ქონებრი-  
 ვი მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ, იმის მაგი-  
 ვრად, რომ ვიდრე ერობას ეღივებოდნენ, გზე-  
 ბის შეკეთებასა და გაუვანაზე, საავადმყოფოების  
 და სამრეწველო ამხანაგობათა დაარსებაზე ეზ-  
 რუნათ.

როცა სამეგრელოს საეკლესიო სკოლებში ქა-  
 რი უღი ენა მოსწავლა, მაშინაც მოწყალების სასო-  
 ება გაგვიჩნდა. ბევრს ეგონა და ჭკონია კიდევ,  
 ვითომც საკმარისია ბ-ნმა ვარსაქელმა „Петербург.  
 Вѣдом.“-ში სტატია დაბეჭდოს და უმაღლეს სა-  
 სულიერო მთავრობას აუწყოს საქმის ვითარება,  
 ზგენი ერთგულება და ისტორიული ღვაწლი ქრის-  
 ტიანობის წინაშე („მრავალ ტანჯული ჯვაროსანი  
 ერი“), რომ მაშინვე ეოქავათ პეტერბურგში, ეს  
 რა ჩაუდენიათ, შემოდებულ იქმნას ქართული ენა  
 სამეგრელოს სკოლებშიც, იმის მაგივრად ეცად-  
 ნენ უოჯლის დონისძიებო იმდენად ადლორძინონ  
 ჩვენი ცხოვრება, რომ ქართულის ენის ცოდნა  
 აუცილებლად საჭირო იყოს ევგელასათვის ცხოვ-  
 რებაშიც, ადებშიცემობაშიც, იმის მაგივრად, რომ  
 სამეცნიერო თუ ხელოვნურ მწერლობის წარმატების  
 ხელის შეწყობის წყალობით ჩვენ დედაენას  
 მტოციც, მკვიდრი ნიადაგი მოუზოვონ.

როცა არჩევნების დრო მოახლოვდება ხელმე  
 ტოილისის საბჭოში, ჩვენი ჰუმლიცისტები ცე-

ცხლს აფრქვევენ, მთავრობას ქართველების ერთ-  
გულებას აგონებენ და დახმარებას სთხოვენ,  
ბ-ნი გოგებაშვილი სთხოვავს „Правда о Тиф-  
лисѣ“-ს, იმის მაგივრად, რომ ბრძოლისათვის  
მოემზადნენ და ქართველი მეკენჭეები შეჭკრი-  
ბონ, და ბევრი სხვა ანაიროვე... რამდენად  
უნაყოფოა პოლიტიკაში ჩვენთვისაც ამ გვარი  
„გამოსარჩლებითი მწერლობა“, იქიდანა მტკიც-  
დება ცხადად, რომ ყველა ჩემო აღნიშნული და  
სხვა კიდევ ბევრი ამგვარავე საქმე სრულებით  
წაგებულა.

მაგრამ იმის გარდა რომ ბ-ნი გოგებაშვილის  
მოწონებული „ადვოკატური“ მეცნიერება, როცა  
„ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულებანი მცირ-  
დებიან“, სრულებით უნაყოფო და უმნიშვნელოა  
ქართველობისათვის პოლიტიკაში, იგი, პირიქით,  
მავნებლად უნდა ჩითვალდეს აგრეთვე ჩვენ ერგ-  
ნულ თვითცნობიერების გამომღვიძებისათვისაც იმი-  
ტომ, რომ ჩვენი მეცნიერი, რომელნიც ბ-ნი  
გოგებაშვილის გემოვნებაზე სამეცნიერო ადვოკა-  
ტურ გამოკვლევებს შესთხოვავენ, მთავრობის  
ნაციონალურ პოლიტიკას ვერას გზით ვერ შეს-  
ცვლიან, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი,—ქარ-  
თველი საზოგადოება კი ყოველთვის მოტყუე-  
ბული იქნება და ვერც როდის ვერ გაიგებს,  
მართალია ის, რასაც მეცნიერი ბრძანებს, თუ  
მხოლოდ იმიტომ არის ასე საუცხოოდ აღწი-  
რილი ჩვენი წარსული, რომ ქართველთა „ღირ-  
სებანი დიდდებოდნენ, ნაკლულებანი კი მცირ-  
დებოდნენ“. ერთის სიტყვით, ბ-ნი გოგებაშვი-  
ლის მოწონებულ ვითომდა სამეცნიერო გაკმას  
შედეგად მხოლოდ ის მოჭეუება, რომ ჩვენვე  
მოვატყუებთ ჩვენ თავს, საზოგადოებას, ჩვენვე

აუხვევთ თვალს მას და დავაბრძავებთ. ხოლო ამგვარი მოქმედება ქართველ ერის თვითცნობიერების აღორძინებას შეათევს და ბოლოს მოუღებს, ხალხს ბაქობას და უსათუძვლო ამბობას და კმაყოფილებას შეაჩვევს, დასასრულ ხვან წარსულს, აწმყოს იდეალად დაუხატავს... რაცა ბ-ნი გოგებაშვილი „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი“ საისტორიო მეცნიერებზე სწერდა თავის წიგნში, ალბად, დაიწეებისა პატივცემულ ავტორს, რა მიზანი აქვს თანამედროვე საისტორიო მეცნიერებას და რა ზნეობრივი მთავალეობა აწევს მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე ხვანის წარსულის მეგლეგარს.

ოდინდაც, ბ-ნ გოგებაშვილის აზრით, ისტორიას აზრად უნდა ჰქონდეს დამტკიცოს (თუნდაც გაზვიადების, სიტრუის წყალბობით!) უცხოელებსა და საზოგადოებას ამა თუ იმ ერფნების ნიჭიერება და სიდიადე. ეს ახირებული აზრი ლომინსკის და მეტადრე ნეტარსენებულ ისტორიკოსის კარამზინის შეხედულობას მოგვარგონებს. ერთ დროს იმთაც ეგონათ, ვითომც ისტორიკოსი მთავლე ყოფილიყოს დამტკიცებინა, რამ განუსაზღვრელი თვითმპერობელბა რუსეთის ცხოვრების დედაბობი, უკვდავბის წყარო გახლდათ. ბ-ნ გოგებაშვილს ვუჩვევთ პრ. მილიუკოვის „Главныйшя теченія русскои исторической мысли“ წიკითხოს და იქ დაინახავს, რა დეც დაადგა კარამზინს. ბ-ნ გოგებაშვილისებური ისტორია უფრო ნაციონალური ხატბას, ვიდრე მეცნიერება. ამ ნაირი მიმართულება ისტორიას პირველ ხანებში, დასაწეისში ჰქონდა და ესლა მე-20 საუკუნის დამდეგს ამ მიმართულების განახლება მგონი, რამ

ძალიან დაგვიანებული უნდა იყოს. თანამედროვე მწერლობაში საისტორიო მეცნიერების მიზნის შესახებ მრავალი საუცხოვო გამოკვლევა მოიხზება. ამავე დროს ჩვენში საზოგადო მოღვაწე მკვლევარებს ჭკუას ასწავლის, ისტორია ნაციონალურ ხოტბა-შესხმადა სერს აქციოს, ხმა მადლა ჰგოდნობს და თითქმის მამულის დაღატას სწამებს ყველას, ვინც ჩვენ წარსულის დიქსებას არ აზვიადებს და ნაკლულებს არ ამცირებს. განა ეს ჩვენი სამწუხარო ჩამოჩენის ნიშანი არ არის?..

ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოიკვიოს, რა და რა პირობებისა და მიზეზისგან დამოკიდებული იყო სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ, ან არა და ზნეობრივ-გონებრივი განვითარებისა და წარმატების მიმდინარეობა. ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პიონათლად აასრულებს, ის, უეჭველია, იმავე დროს ქართველ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ რომ ყოველ განათლებულ ერგონებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეზვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავის წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი.

მაგრამ პირუთვნელი, მეცნიერული საქართველოს ისტორიის ცოდნა მარტო ქართველებისათვის კი არ არის საჭირო, სხვა ერთა წარმომადგენლებისთვისაც: რა ჩამომავლობისაც უნდა გახლდეთ მეცნიერი, გერმანელი იქნება იგი, თუ ფრანგი, რუსი, თუ ქართველი, ყველანი ერთნა-

რად, რასაკვირველია, თუ ისინი შატლას მეცნიერებას ემსახურებიან, დაინტერესებულნი არიან, რომ საქართველოს წარსული საფუძვლიანადა და პირუთვნელად იყოს შესწავლილი, იმიტომ რომ თვითთვეულ ხალხის ისტორიის შესწავლასაც დამოკიდებული ბევრის მხრივ ის მეცნიერება, რომელსაც ისტორიის ფილოსოფიას ეძახიან და რომელიც შეადგენს ჩვენის მეცნიერების უზენაესს მიზანს.

ცხადია, „ადვოკატურ“ ისტორიის დაწერა მხოლოდ იმ მეცნიერს შეუძლიან, ვინც არაფითარ წნეობრივ მოვალეობას არა ჰგერძობს მეცნიერების წინაშე. მაგრამ იქნებ მამულისშვილური გრძობა, მხურვალე სიუვარული სამშობლოსადმი აძულებდეს ქართველს მეცნიერს „გამოსარჩლებითი“ გაზვიადებული ისტორიის წყერს ხელმე? ზემოდ ვსთქვით, რომ ამგვარი ისტორიის უნაყოფოა ხელმე პოლიტიკაში, გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა ჰგერძობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით ჰსურს თავისი ეროვნული შელახული გრძობა დააკმაყოფილოს და დაამშვიდოს. ხოლო ამ გვარი სურვილი არადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ჰფიქრობს. საქართველოს წარსულის ცოდნა, მოგეხსენებათ, მისაბაძავად კი არაა საჭირო ჩვენთვის, შესასწავლად და გასათვალისწინებლად, თვითცნობიერების გრძობის დასაკმაყოფილებლად. დიადაც, ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავის ერის წარსული, პირუთვნელადვე უნდა წარმოუდგინოს თავის სამშობლოს წარსულ-

ლი თანამემამულეებსა და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწეინვალე წარსული ვერას უშველის: განა ეგვიპტელებსა და ასურელებზე კაცობრიობისა წარმატების წინაშე მეტი ღვაწლი მიუძღვის კიდევ ვისმეს, განა სპარსელებს ნიჭი აკლდათ, განა იმათი ბრწეინვალე წარსული მსოფლიო ისტორიისათვის უმნიშვნელო იყო, რომ ეხლა შესაბამისს მაცომაკობაში არიან ჩაცვივალნი? აშკარაა, დიდებულ წარსულს საერთაშორისო პოლიტიკასა და ცხოვრებაში დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდეს, აწმყო მხოლოდ მხედველობაში მიღებული, აწმყო კულტურული...

მეორეს მხრივ, თუნდაც რომ გამოკვლევაში ქართველ მეცნიერს დაანახვოს, რომ იმის სამშობლოს წარსული თავისებურსა და დიადს არაფერს წარმოადგენს, მაინც იგი არ უნდა შეუშინდეს თავის დასკვნის გამოქვეყნებას, რადგან მეცნიერმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ხალხს, რომელსაც წარსულში განვითარების უმაღლეს წერტილამდე არ მიუღწევია, ყოველთვის შეუძლიან შეითვისოს უმაღლესი კულტურა და განათლებულ ერთა შორის სპატიო ადგილი დაიჭიროს. ამის მაგალითს ფინები, იაპონელები, ნორვეგიელები და მრავალნი სხვანი გვიჩვენებენ. ასე რომ არ ყოფილიყო, ხომ კულტურის შეუწვევითელი მსვლელობა და „ახალ“ ხალხთა (გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, სლავები, არაბები და სხვანი) საერთაშორისო საკულტურო ცხოვრებაში ჩარევა შეუძლებელი იქნებოდა. ამნაირად, თუნდაც რომ ჩვენი წარსული მართლა არაფერს სა-

ეურადღებოს არ წარმოადგენდეს, განა არ შეიძლება ჩვენც ბრწყინვალე საკულტურო მემკვიდრის იმედი გვქონდეს, თუ კი ყოველ ძალღონეს მოვიკრებთ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრების გასაუმჯობესებლად? თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლიან იგი თავიდან მოიშოროს. ცხადია, მაშასადამე, რომ ქართველ მეცნიერს მამულიშვილური გრძნობა სრულებითაც არ ავალებს ბ-ნ გოგებაშვილისებური „ადვოკატი“ ისტორიები სთხზას, არ ავალებს მაშინაც, თუნდაც რომ მისი სამშობლოს წარსული მართლა არაფრით იყოს საინტერესო და საყურადღებო.

მაგრამ სწორედ კრიტიკულად განხილული საქართველოს ისტორია, რომლისაც ასე უმნიშვნელად ბ-ნ გოგებაშვილს, გვიჩვენებს, რომ ჩვენი წარსული ყოველის მხრით ძალიან საინტერესოა (უპირველესად, რასაკვირველია, ჩვენთვის და მეცნიერებისათვის). კრიტიკულ, სამეცნიერო და ჩვეულებრივ წარმოდგენათა შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენში ჰგონიათ, ვითომც აწინდელი ჩვენი წარმოდგენა წარსულზე სწორე იყოს, ვითომც ამ შეხედულების შეკრევა და დარღვევა თვით ჩვენის წარსულის ღვაწლის და წარმატებულ ცხოვრების გაქარწყლებას მოასწავებდეს. პირველიდანვე ქართველთა მოდგმის ტომში მშვიდობიანად და თანხმობით სცხოვრობდნენ, ოჯანჯავაზმა დაარსა შეერთებული, ძლიერი ერგონული სახელმწიფო, მწერლობა შექქმნა და კანონიერი წესწობალება შემოიღო. შემდეგ ქრისტიანობა გავრცელდა, რასაკვირველია, პირველიდანვე წაინდა, შეუმწიკვლავი მართლმადიდებლობა უნ-

და გავრცელებულიყო, იგი აქამდინაც შეუკრეპი-  
ლად აჩვენებს ჩვენში. ქვეყანა არ მოიპყრება დე-  
დამიწის ზურგზე, სადა მწვალებლობას არ ეჩინა თა-  
ვი, თვით საბერძნეთსა და იტალიაში დაუცხრო-  
მელი ქიშხობა და კამათი იყო ხელმე საწმუნო-  
ებრივ უთანხმოებათა გამო, მხოლოდ ჩვენში ზი-  
რველიდანვე სრული მშვიდობიანობა სუფევდა,  
ანაფის აზრდაც არ მოსვლია ამა თუ იმ საწმუნ-  
ობებრივ საკითხის შესახებ ისე არ ეფიქრნა, რა-  
გორც მართლმადიდებელი ჰეთიქრობდნენ. საზო-  
გადობრივ ცხოვრებაშიც შეუდროება სუფევდა.  
სიუვარული, თანხმობა, სათნოება, „მამა-შვილუ-  
რი“ განწყობილება აჩვენებდა და წოდებათა  
შორის ბრძოლა არც როდის არა ეფიქრდა. ცხა-  
და აგრეთვე ჩვენი თავად-აზნაურობის ქართველ-  
მეუბნისადმი მხურვალე სიუვარული და ერთგუ-  
ლება და სხვა-და-სხვა მრავალი ამგვარი აზრი  
ტრიალებს ჩვენ საზოგადოებაში საქართველოს  
წარსულის შესახებ. ამ წარმოდგენის კრიტიკული  
განხილვა და შერევა ქართველთა ნიჭიერების  
უარ-ჰყოფად მიანჩნიათ. რით აიხსნება ამგვარ აზი-  
რებულ კრძნობის აჩვენობა? მარტოოდენ იმით,  
რომ ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ ანაფერი  
არ იცის თავის სამშობლოს ისტორიის შესახებ  
ჩვეულებრივ, მამა-ზაზურ კარდმოცემის კარდა და  
ამის გამო შიშობს ეს ნიადაგიც არ გამოცდა-  
ლას.

ღიადაც, ჩვენ იმდენად უვიცნი ვართ ჩვენ წა-  
რსულის თავგადასავალის შესახებ, იმდენად გვე-  
შინიან კრიტიკულ მსჯელობისა, რომ მე-17-18 სა-  
უკუნ. წარსულის შესახებ შეთხზული შეხედულე-  
ბა სასიქადულოდა და ჩვენ ნიჭიერების დამამ-  
ტიტებლად მიგვანჩნია და ისიც-გი ვერ შეგვიმი-

ჩნევია, რომ ეს შესჯდულება მხოლოდ ჩვენთვის  
 „testimonium pauperitatis“-ი არის. მარ-  
 თლაც, განა ძაღვიან საქებურის ჩვენთვის, როცა  
 გავიძახით და ვარწმუნებთ ხოლმე უველას, საქარ-  
 თველში საზოგადო და საეკლესიო საქმეების  
 შესახებ უთანხმოებას და ბრძოლას არც როდის არ  
 ყოფილათ, ვითომც ჩვენში ეგრედ წოდებულ მწვალე-  
 ბლობას თავი არც როდის არ უჩენია?! ბერძნებს,  
 რომაელებს, ასურელებს, ფრანგებს, გერმანელებს,  
 რუსებს, სომხებსაც, ყველას ჩვენს გარდა ჭქო-  
 ნია საწმინთობრივი უთანხმოება, ყველგან ყო-  
 ფილა ეგრედ წოდებული მწვალებლობა, მხო-  
 ლოდ ჩვენ მოგვაქვს თავი უცდომელობით...  
 მაგრამ საქმე რომ მართლაც ისე ყოფილიყო, რო-  
 გორც ჩვენში ჭკონათ, მაშინ მეცნიერს უნდა  
 ეთქვას, რომ ან ქართველებმა მხოლოდ გარკვეო-  
 ბით, ზედა ზირულად შეითვისეს ქრისტიანობა  
 და იმის შინაარსსა, ამა თუ იმ დოგმატის სხვა  
 და-სხვა ახსნაზე, რომელზედაც მთელი ქრისტია-  
 ნობა კამათობდა ხოლმე, სრულებითაც არა ფიქ-  
 რობდა, თავს არ იტკივებდა, ან არა და ქართვე-  
 ლები იმდენად ნიჭმოკლებულნი უნდა ყოფილ-  
 იყვნენ, რომ საწმინთობრივ ბრძოლასა და ჰაქ-  
 რობაში მონაწილეობის მიღების თავი არა ჭქონ-  
 დათ, არ შეეძლოთ,—გერმანელ ჰიეტის ბოდენ-  
 შტეტისა არ იყოს, „უცდომელი მხოლოდ ის  
არის, ვინც არათუ არ აკეთებს“. ასეთი განსჯათ  
 ჩვენი სასიქადულო შესჯდულება! ნამდვილად-გი  
 სულ სხვანაირი იყო ჩვენი წარსული: საწმინ-  
 თობრივი, საეკლესიო და სამონასტრო ბრძოლა,  
 გაცხადებულ კამათი ხშირად ყოფილა ხოლმე  
 საქართველოში, სწორედ ამ ბრძოლას არა ერთ-  
 ხელ გაუცოცხლებია და განუახლებია ჩვენი

ეკკლესია \*). იგივე უნდა ითქვას „მამაშვილურ“ განწეობილების შესახებ წოდებათა შორის. ბევრს ჭკონია, რომ ეს ვითომც და ჩვენი ისტორიის თვისება ჩვენის განსაკუთრებულ სათნობებისა და ნიჭის დამამტკიცებელი იყოს. ის კი არ იცინა, რომ ევროპულ მეცნიერებს სწორედ ამ წოდებათა შორის ბრძოლით მოაქვთ თავი: ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ინდო-ევროპულთა მოდგმის ერებს შესწევთ იმდენი ნიჭი და საზოგადოებრივ ცხოვრების უნარი, რომ სოციალურ თავისუფლების მოსახლებლად წოდებრივ ბრძოლით ესარგებლნათ. გამომჩენილი გერმანელი ისტორიკოსი ლინდნერი ამტკიცებს მავ. თავის წიგნში *Deschichtsphilosopie*. რომ აღმოცავსა და საზოგადოდ აზიის ერებმა არ იცინა, რა არის წოდებრივ უფლებათა მოსახლებლად ატენილი ბრძოლა. აზიაში შეიძლება მხოლოდ აჯანყდნენ, ტაქტიურ ბრძოლის უნარი კი არ მოეხვევებათ. როგორც ჭხედავთ, დიდად საქებური არ უოფილა ეს ვითომდა ქართველების თვისება, „მამაშვილური“ განწეობილება წოდებათა შორის. საბედნიეროდ, მეცნიერს, რომელსაც კრიტიკულად შესწავლილი აქვს ქართული საისტორიო მასალები, შეუძლიან დაამტკიცოს, რომ საქართველოს წარსული დიდაც წოდებრივ ბრძოლის მაგალითებით არის სავსე...

ერთის სიტყვით, აწინდელი ჩვენი წარმოდგენა წარსულის შესახებ სრულებით ვერ გვიხს-

---

\*) ამის შესახებ იხ. И. Джаваховъ — „Изъ исторіи церковныхъ реформъ въ древней Грузіи“. Журн. Мин. Нар. Просв. 1904 г. № 2.

ტავს საქართველოს მდგომარეობას, იმის წარმა-  
ტებულ სასოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებას.  
იგი გაცოლებით უფრო დაბლა სდგას, ვიდრე  
თვით ჩვენი წარსული ცხოვრება იდგას; იგი მსო-  
ლოდ ამ ცხოვრების უფერულ, მკრთალ აჩრ-  
დილს წარმოადგენს; მკრთალს იმიტომ, რომ  
ეს წარმოდგენა თანამედროვე მეცნიერულ კვლე-  
ვასა და შესწავლასზე კი არაა დამყარებული, არა-  
მედ იმ გარდმოცემასა და ცნობებზე, რომელიც  
X ჩვენ საზოგადოებას მე-XV I-XVIII საუკ. ქარ-  
თველმა მოღვაწეებმა უანდერძეს...

ამის გამო ეხლა მეცნიერი ისტორიკოსები  
მოვალენი არიან უზიარველესად კრიტიკულად გა-  
ნისილენ უველა ის ცნობა, რომელზედაც დამ-  
ყარებულია ჩვეულებრივი წარმოდგენა წარსულ  
ცხოვრებაზე. ცხადია, ვიდრე ამგვარი პირველ  
დაწეებით მასალათა განხილვა გათავებული არ  
იქნება, მანამდისინ შეუძლებელია საქართველოს  
სამეცნიერო ისტორია დაიწეროს. საქართველოს  
მწერლობის და ისტორიის შესწავლა დიდი ხანი  
არ არის დაიწყო, ამიტომ ჯერჯერობით მეგლე-  
ვანი უფრო წყაროების კრიტიკულ განხილვას  
ანდომებდნენ დროს, მაგრამ ვინც ამ მიმართუ-  
ლების მიმდევარ მეცნიერთა ნაწერებს თვალყურს  
ადევნებს, უნდა შეენიძნა, რომ ეხლაც კი უკვე  
საკმაოდ შეიწვალა ძველი წარმოდგენა წარსულ-  
ზე და ძველ ჩვეულებრივ დარღვეულ შეხედუ-  
ლების მაგიერ ახალი მეცნიერულად დამტკიცე-  
ბული შეხედულება შეარდება თან-და-თან. რაც  
უფრო მეტი დრო გაივლის, უფრო უკეთესად  
შემუშავებული და განხილული იქნება ქართული  
მწერლობა და სამოქალაქო ისტორია; მაშინ კი,  
დარწმუნებული ვარ, ნათლად დაინახავს ბ-ნი გო-

გებაშვილი, ვინ იყო „უკუღმართობის“ მამხრე, თვითონ იგი და მისი თანამოაზრენი, თუ კრიტიკულ მიმართულების მიმდევარნი?

მარტო ისტორიაში კი არა, მეცნიერების უველას დარგში საჭიროა კრიტიკულმა მიმართულებამ ჩვენში იზიაროს თავი. ჩვენი უძლეულება ის არის სწორედ, რომ ჩვენ არც წარსულის, არც თანამედროვე ცხოვრების მდგომარეობის შესახებ ნამდვილი, ჭეშმარიტი ცნობები არ გვახადია: მაღალ, რიხიან სიტუაციებს და წინადადებებს რომ თავი დაფანებოთ, უმეტეს შემთხვევაში უფერულ და უვიც წერილების მეტი თითქმის არა დაგვრჩება-რა. ბ-ნ გოგებაშვილს რომ „ადგილგატურ, გამოსარჩლებითი“ ისტორიის წერის მაგიერ თავის დროზე საზოგადოებისათვის ჩაეგონებინა, თავის წარსულ და თანამედროვე ცხოვრების კრიტიკულად შესწავლას შესდგომოდნენ და თითონაც შეძლების დაკვარად მაგალითი ეჩვენებინა, მაშინ ქართველ საზოგადოებას შეეძლო ბევრი შეცდომა აეცილებინა თავიდან და ჩვენ მოქმედებას და პოლიტიკას გარკვეული, მტკიცე ხასიათი ექნებოდა. დიადაც, წარსულ საუკუნეში ისტორიის ცოდნას ქართველობისათვის მარტო თეორიული მნიშვნელობა არა ჰქონდა: ათასგვარი ცვლილება მოხდა ჩვენ საზოგადოებრივ წესწერობილებაში, ბევრი ცვლილება ხდება ესლაც, ჩვენ კი იმდენად უძლეური ვართ ჩვენის ცხოვრების უცოდინარობისა გამო, რომ გულ-ხელ დაკრებილი, შეშინებული შევეურებოთ ცხოვრების ჩარხის ტრიალს: მაგალითად, როცა საქართველოში ბატონ-უმობა ისპობოდა, მაშინ რომ ჩვენ მოღვაწეებს ფიქრად მოსვლოდათ და ქართულ ბატონ-უმობის ისტორია შეესწავლათ, გამოერკვიათ,

რ უფლებები ჰქონდათ უმებს და განთავისუფლების დროს ვისთვისაც ჯერ არს აქსნაო, რომ ჩვენებურ გლეხის მდგომარეობა რუსის გლეხების მდგომარეობისაგან განსხვავდებოდა, უპიკველია მებატონეებისა და ნაემგეების შორის ტუისა და სადოგრის თაობაზე ისეთი გამწვავებული უთანხმოება არ იქნებოდა, როგორც ესლას ატენილი.

ამ რამდენისამე წლის წინად სამინისტრომ წელის მიფლობელობის ახალი კანონი შეადგინა. ჩვენში, რასაკვირველია, ჩვეულებრივ განუებულნი იუენენ იმის მაგივრად, რომ შეესწავლათ რაზეა ჩვენში დამყარებული წელის მიფლობელობის უფლება და ამისდა მიხედვით სამინისტროს კანონის პრეკტი განეხილათ, რომ კანონში, — თუ ჩვენ ცხოვრებისათვის შეუფერებელი აღმოჩნდებოდა, — სასურველი ცვლილება შეეტანინებინათ. რა დარგიც გნებავთ, უგულაფერში ჩვენი ინტელიგენცია ცხოვრებისა და მეცნიერების მოთხოვნილებაზე ჩამოჩენილია. ავიდეთ თუნდ მართლმსაჯულება: ვინ არ იცის, რამდენი დავაა ატენილი ჩვენში მამულების თაობაზე; ცხადია, სასამართლომ რომ სწორედ გადასწევიტოს თვითვეული დავა, აუცილებლად საჭიროა მსაჯულებმაც და ვეჭილებმაც ჩვენებურ მიწათმიფლობელობის უფლებების ისტორია და ქართული კანონმდებლობა ზედმიწევნით იცოდნენ; ჩვენში აი ერთი ვეჭილიც, ერთი მოსამართლეც არ მოიპოვება თითქმის, რომელსაც ქართული კანონმდებლობა მეცნიერულად შესწავლილი ჰქონდეს; ბევრი იურისტია საქართველოში, რომელთაც ბნურბნელის საუცხოო თხზულებები ქართულ კა-

ნონმდებლობის ისტორიის შესახებ \*) თვალთაძრავ უნახავთ, არამც თუ წაუკითხნიათ.

ღიადაც, ჩვენ „ადვოკატური, გამოსარჩლებითი“ ისტორიების წერა კი არ გვიშველის, არამედ პირუთვნელი, ყოველმხრივი, კრიტიკული შესწავლა და გამკველევა ჩვენის წარსულის და თანამედროვე ცხოვრებისა. ქართულ ენასა და მწერლობას მამინ გაუმავრდება ნიადგი, თუ ჩვენი ახალი თაობა პატივცემულ ჰრ. ვ. პეტრიაშვილს მიჰბაძავს და გულწრფელად და თავგანწირულად ეცდება ქართული, სამეცნიერო (ყველა დარგისა) თანამედროვე მეთხონილებათა შესაფერისი მწერლობა შექქმნას, — რომ მწერლობას მართლა ძალა ჰქონდეს ცხოვრებაში და ჩვენ საზოგადოებრივ და ეროვნულ მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი გახდეს...

რაკი ბ-ნი გოგებაშვილი დაწმუნებულა, რომ „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი“ ისტორიის წერას ეროვნულ უფლებათა მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ იმასა ჰგონია, ვითომც ქართული მეცნიერები „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი ხასიათის“ საისტორიო თხზულებებს უნდა სწერდნენ და ვინც ამ მთვალეობას არ ასრულებს, უკუღმართობის გზას ადგეს. ბ-ნ გოგებაშვილს თავის წიგნში იმ მკველევართა გუნდიდან, რომელთაც იმის აზრით სურთ „ჩვენის წარსულის ყოველი დირსება დამაღონ, უარჰყონ მისი ყოველივე თავისებურობა“, მხოლოდ რი მკველეთი მოჰყავს. პირველზე არას ვიტყვი, შე მხოლოდ მეორე მკველეთზე ვაპირებ საუბარს.

\*) „ძველის დება“, „ათაბაქი ბეჟა და აღბულა და მათი სამართალი“.

თუმცა ბ-ნი გოგებაშვილი ამ შევლევარის გვარს არ ასახელებს, მაგრამ იმის სიტუებიდან ცხადადა სჩანს, რომ იგი პროფესორ ნ. შარტყე ლაპარაკობს.

ჩვენ საზოგადოებაში ბევრი უცნაური ჭორობის გავრცელებული ამ ნიჭიერ და დიდბუნებოვან მეცნიერზე; ბ-ნი გოგებაშვილი ამ ჭორობის ხმას აჭყვას და თავის წიგნში ეველა ამგვარ ცილისწას. მებას თავი მოუყარა ერთად. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეველა ჭორობი და ცილისწამებას სრულს უვიცობასა და გაუგებრობაზე დაშვარებული. მე ხშირად შემხვედრია ისეთი მახარებელი პროფ. შარტყისა, რომელიც რინიანად ლაპარაკობდა მასზე, თუმცა ერთი მისი სამეცნიერო თხზულებატ-გი წაკითხული არა ჰქონდა.

მაგრამ უკეთესია ბ-ნი გოგებაშვილის თვითეულ ბრალდების განხილვას შევუდგეთ. კვადდაკვალ ვეცდებით ვუჩვენოთ მკითხველს, რამდენად შემცდარნი ბრძანდებიან ისინი, რომელთაც ვერ გაუგიათ პროფ. შარტყის თხზულების მნიშვნელობა და დედა-აზრი და თვითეულ მის ნაწერს მტრის თვალთ უცქერიან. ეველგან, როცა კი ჩვენ ამათუ იმ წყაროდან, ან წიგნიდან საბუთები მოეყანილი გვაქვს, შენიშვნებში ასლი, ნამდვილი ტექსტია ამოწერილი, რომ მკითხველს ეოველთვის შეეძლოს დაინახოს სწორეა თუ არა ჩვენი მოსაზრება.

ბ-ნი გოგებაშვილი ბრძანებს: პროფ. შარტი „მთელს ძველს ქართულს ლიტერატურას თარგმანს ეძახის, უმეტეს ნაწილად სომხური ენიდან“ (ბურჯი ეროვ. გვ. 52). პროფ. შარტყის ასე გადაჭრით მთელს ძველ მწერლობაზე არც როდის არ ულაპარაკინა; იგი ამტკიცებდა მხოლოდ,

რომ დაბადება და ახალ აღთქმის სასულიერო წიგნები, რომელნიც ქართულ მწერლობის პირველ ხანას ეკუთვნიან, სომხურიდან არიან ნათარგმნი; ამ აზრს იგი ქართულ დაბადების დედნის შესწავლას და შედარებაზე ამყარებდა; ამიტომ ბ-ნ გოგებაშვილის სიტყვები, ვითომც ჰრ. მარტი „მთელს ძველს ქართულს მწერლობას უმეტეს ნაწილად სომხურიდან ნათარგმნს ეძახის“, — ან უნებლიეთი შეცდომა უნდა იყოს, ან განზრახ სიცრუე. „ვიდრე გამორკვეული არ იქნება, ამბობს თვით ჰრ. მარტი, როგორ და რამდენადა ჭქონდა ქართულ ლიტერატურაზე სომხურ მწერლობას გავლენა, მანამდისინ შეუძლებელია ასურეთის, სომხეთისა და საქართველოს შორის საწმენოებრივ და სალიტერატურო ერთობის ხასიათის გამორკვევა“ \*).

ცხადია, რომ თვით ავტორს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიაჩნია; პირიქით, ჰრ. მარტის აზრით, ჯერ კიდევ უნდა გამორკვეს, თუ რამდენი და რომელი თხზულებები სახელდობრ გადმოთარგმნილი არიან სომხურიდან ქართულად. იგი თვით კვალდაკვალ მისდევს ამ საკითხის გამორკვევას და მხოლოდ იმაზე დაზარაკობს, რაც უკვე შესწავლილი აქვს. ჯერ-ჯერობით ჰრ. მარტიმ განიხილა მხოლოდ სახარება (იხ. Изъ поѣздки на Аѳонъ, Ж. М. Н. Пр.

\*) „Безъ выясненія какъ качества, такъ и размѣровъ армянскаго вліянія на грузинскую письменность нѣтъ никакой возможности уяснить себѣ характеръ литературнаго и вообще христіанско-культурнаго общенія Сиріи, Арменіи и Грузіи“. Изъ поѣздки на Аѳонъ Ж. М. Нар. Пр. 1899 г. № 3.

1893 წ. № 4, გვ. 14). 14 წმიდათა ცხოვრებანი (ibid. გვ. 16—20), „იზელიტის ქება ქებათაჲ“ (იხ. Тексты и разысканія по армяно-груз. филологіи вып. III, გვ. XV) და სახასმეტეველი (ibid. вып. VI), რომ ვრ. მარკო ვიდრე საკითხი სრულიად გამორკვეულად არ მიაჩნია, გადაჭრილს აზრს ქართულ მწერლობაზე არ გამოსთქვამს ხელმე, შეიძლება მის შემდეგ სიტყვებიდან დაინახოს მკითხველმა: ძველ აღთქმის „ნეშთის“ („ზარალიზომენონ“) შესახებ იგი ფრთხილად სწერს: „ნეშთის ქართულ თარგმანზე ჯერ-ჯერობით ვღუბ, იმის გამო, რომ ამ წიგნის ძველი შესწორებული დედანი ხელთ არა მაქვს“) (Кавк. вѣст. 1902 Новооткрытый армян. текстъ „Паралипоменонъ“, გვ. 13, შენ. 1) \*).

როდესაც ვრ. მარკო ამბობს, რომ უძველესი ქართული საეკლესიო მწერლობა სომხურიდან უნდა იყოს ნათარგმნი, იგი, რასაკვირველია, ქრისტიანობის პირველ ხანაზე ლაზარაკობს, რომელმაც დაახლოებით მე-VII—VIII სსუკ. გასტანა, ვიდრე ქართველები და სომხები ერთი ერთმანეთს სარწმუნოებრივ არ დაშორდნენ. ცხადია აგრეთვე, რომ ვრ. მარკო განსაკუთრებით ისეთ თხზულებების თარგმანზე ლაზარაკობს, რომელნიც უველგან (საბერძნეთის გარდა, ზოგჯერ იქაც-კი) ნათარგმნი იყვნენ. ამით, რასაკვირველია, იგი არ უარყუფს იმისთანა ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებების არსებობას, რომელ-

\*) „О грузинскомъ переводѣ пока я малчу, такъ какъ я не располагаю древнимъ текстомъ Паралипоменонъ, не подвергшимся позднѣйшимъ исправленіямъ“...

ნიც შესაძლებელი იყო ადგილობრივ შეეთხზათ. მაგ. ქართველ წმიდათა ცხოვრებანი (9 ძმა კალაქელ. რაჟდენისა, ევსტატე მცხეთელია და უძველესი ჯერჯერობით დაკარგული ასურელ მამათა ცხოვრებანი) საზაქრო (სახელემიგო) წიკილები და სხვა. მაგრამ გაზვიადებული ეროვნულ თავმოყვარეობა ჩვენ მამულიშვილებს ნებას არ აძლევს წარმოიდგინონ, რომ ქართველებს ოდესმე შეეძლოთ რაიმე გადმოეთარგმნათ სომხურიდან. ამნაირი გრძობა-ვი ავადმოყოფურ თავმოყვარეობის შედეგი კახლავთ: ვინ არ იცის, რომ ძველი და ახალი აღთქმის და ყველა საეკლესიო წიგნები სომხების შეთხზული არ არის; ქართველებს საიდანმე უნდა გადმოეთარგმნათ უეჭველია ეს წიგნები. როგორც თვით სომხებმა ასურულიდან გადმოთარგმნეს, ბერძნებმა ებრაულიდან, რომაელებმა ბერძნულიდან, რუსებმა ბოლგარულიდან და სხვა და სხვა.

რა სათაკილთა მერე ჩვენთვის, რომ სამღთო წერილი სომხურიდან იუოსნათარგმნი? სომხებმა, როგორც ასურელებთან მოსამზღერე ერმა, ჩვენზე უფრო ადრე მიიღეს ქრისტიანობა; სომხეთიდან ქრისტიანობა ჩვენშიაც გადმოვიდა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში; დასავლეთ საქართველოშიც, მაშინდელ ლაზიკაშიც ვრცელდებოდა ახალი საწმუნოება, მაგრამ იქ ბერძნებმა ისეთი მტარვალური გავლენა იქონიეს, რომ არც ლაზიკაში, არც კოლხიდაში სამშობლო ენაზე მწერლობა არ აღმოჩინებულა; პირიქით საბერძნეთმა ლაზიკა თითქმის სრულიად მოაშორა და მოსწუვიტა ქართველობას; ხოლო კოლხიდაშიც, რომ აღმოსავლეთიდან, ქართლიდან თანამოდმენი სამშობლო ენაზე უკვე განვითარებულ

მწერლობით და წირვა-ლოცვით არ მიჭშეკლებოდნენ, საქმე ცუდად დატრიალდებოდა. ვრცლად ლაპარაკი ამ საგანზე ეხლა შეუძლებელია, რასაკვირველია, თავის დროზე ვეცდებით მკითხველს წარმოუდგინოთ, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის კოლხიდაში სამშობლოს წინაშე ქართველ სამღვდელთაგანს.

ზირველ საუკუნოების განმავლობაში ქრისტიანობას სრულებით არა ჰქონია ეროვნული მიდრეკილება; ზირიქით იგი ყოველგვარ ნაციონალურ განცალკევებას უარჰყოფდა. ამნაირივე საერთაშორისო, კოსმოპოლიტური ხასიათი უნდა ჰქონოდა იმ ქადაგებასაც, რომელიც გაისმა ასურეთიდან სომხეთში, სომხეთიდან საქართველოში. ამიტომ როცა შრ. მარრი, ან სხვა რომელიმე მკვლევარი სომხური მწერლობის გაგენასზე სწერს, ეს სომხურ ეროვნულ მწერლობის გაგენას-გი არა ნიშნავს, არამედ კოსმოპოლიტურ, საქრისტიანო სომხურად დაწერილ, ნათარგმნ, ან ორიგინალურ მწერლობის გაგენასს. ამ აზრის გარემოებად ამტკიცებს, რომ ვიდრე საქართველოსა და სომხეთში ეროვნული მიმართულება მტკიცედ ფეხს მოიკიდებდა, მანამდისინ დიდხანია რაც ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის განხეთქილება უკვე მომხდარა იყო.

ეხლა ვთქვათ ჩვენთვის, რითაა სათაკილო ქართველის ეროვნულ თავმოყვარეობისათვის, რომ უძველეს ხანაში ქრისტიანობა სომხეთის მხრიდანაც ვრცელდებოდა ჩვენ სამშობლოში? რად უნდა აუხვიოს გვერდი ქართველმა მეცნიერმა ამ საკითხს? აგრე რომ ყოფილიყო, გერმანელებს ხომ კრინტიც არ უნდა დაეძრათ იმის შესახებ, რომ მათ ქვეყანაში ქრისტიანობა საფრანგეთადან

გავრცელდა, მით უმეტეს რომ ეს ორი ხალხიც ერთმანერთზე გადამტკრებულა და მეტოქეობენ. მაშ რუს მეცნიერებსაც თავიანთ სპეკულაციონისტობრივ უძველესი ხანის შესწავლაც ხომ ეროვნულ თავმოყვარეობის დამამტკრებლად უნდა ჩეთვალოს, იმიტომ რომ რუსების უძველესი სასულიერო მწერლობა თითქმის მთლად ბულგარულიდანაა ნათარგმნი, და სხვა და სხვა. მაგრამ არც გერმანელებს, არც რუსებს არ ეთაკილებათ, იმიტომ რომ სათაკილოც არაფერია. ჩვენ-კი იმდენად ავადმეოფური თავმოყვარეობა გვაქვს, რომ ვგელას, ვინც კი ზემოაღნიშნულ საკითხს შეეხება და გამოკვლევას შეუდგება, სამშობლოს დაღატს დაგწამებთ ხოლმე და ჩვენ ნებაზე რომ უოფილიყო — ჯვარს ვაწვამდით... ხოლო იმ საკითხის გამოკვლევა, თუ საიდან გავრცელდა ქრისტიანობა საქართველოში, აღმოჩნდა, თუ დასავლეთიდან, რომელს მათგანს უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ ხანებში, აუცილებლადაა საჭირო იმიტომ, რომ ამ საკითხზე დამკვიდრებული ბევრი კულტურის მხრივ ფრიად საუურადღებო ცხოვრების მოვლენანი, რომელთა შესახებ საუბარი ესლა ძალიან შორს წავიყვანდა.

„მკითხველი კარგად იცნობს, ბრძანებს შემდეგ ბ. გოგებაშვილი, საბა-სულხან ობოლიანის იგავ-არაკების კრებულს, რომელსაც ჭჭვიან მშვენიერი სახელი: „სიბრძნე-სიწმინდა“ . დღემდინ ამ თავისებურს თხზულებას ქართველის ნიჭის ნაწარმოებად სთვლიდნენ — უცხოელნიცა და ქართველებიც მისს სრულს თავისებურებაში აწავის ეჭვი არ შეუტანია. ჩვენმა ურწმუნო თომას-პროფესორმა კი არც აცოვია, არც აცხელა და ერთს

თავის თხზულებაში გაატარა ის აზრი, რომ „სიბრძნე სიღრუისა“ ნასესხი, თარგმანი უნდა იყოს მეტ-ნაკლებობითაჲ, რად უნდა იყოს, რა საბუთით, რა მოსაზრებით, ამაზე იგი კრინტიასა სძრავს“. (ბურჯი ერკვ. გვ. 51—52).

პრ. მარტს არც ერთი თხზულება არა აქვს დაწერილი, სადაც „სიბრძნე სიღრუისა“ არაკებს ეხებოდეს სპეციალურად; მას 20 სტრიქონი აქვს შეტანილი თავის გამოკვლევაში „Сборникъ притчъ Вардана“ (часть I, გვ. 516), სადაც იგი გაკვრით ლაზარაკობს ამ საგანზე, იძიტომ, რომ „სიბრძნე სიღრუისა“ წიგნში ისეთი არაკები აღმოჩნდა, რომელნიც სხვა ერთა კრებულებშიაც მოიპოვება. ბ. გოგებაშვილს ეტყობა პრ. ა. ცაგარელის წიგნი «Книга мудрости и лжи» (переводъ и объясненія, Петерб. 1878 г.) წაკითხული არა ჭქონია, თორემ როგორ იტყოდა „სიბრძნე სიღრუისა“ არაკების სრულს თავისებურებაში არავის ეჭვი არ შეუტანია. თვით პრ. ცაგარელს თერთმეტი არაკის შესახებ ცნობები შეკრებილი და მოუყვანილი აქვს, რომ ისინი ან ანვარი სოჭვილიში, ან ჰანჩატატრასში, ან 1001 ღამის ზღაპრებში, ან ეზოპის იგავების კრებულში მოიპოვებიან<sup>1)</sup>. არც პრ.

1) აი თვით პრ. ცაგარელის სიტყვები 7 არაკის შესახებ: „сравни съ сказкой „въ 1001 ночи“... сходны не только въ основномъ мотивѣ, но и въ подробностяхъ“, 22-ის შესახებ „ср. Pantschatutra (прим. № 25), 43 არაკის შესახებ „нѣчто въ этомъ родѣ повѣствуется въ“ 1001 ночи“ (прим. 53), 66 არაკის შესახებ „ср. Панчататра“ (прим. 61), 62 არაკის შესახებ „Встрѣчается у Эзопа, въ Панчататрѣ“ (прим. 66), 71 არაკის შესახებ „Эзоповская басня“

ცაგარელს გადაუწვევია საბოლოოდ, თუ რომელი იგავი უნდა ჩაითვალოს ნამდვილ ქართულად, რომელი უცხოეთის მწერლებიდან შემოტანილად; იგი სწერდა: „იმ ფრიად საინტერესო და დიდმნიშვნელოვან საკითხის გადაწვევით, ორიგინალური და ადგილობრივია, თუ არა „სიბრძნე სიცრუის“ წიგნში შეტანილი არაკები, მხოლოდ მასშინ შეიძლება, როცა მათ სხვა ეროვნებათა ამგვარსავე პოეტურ ნაწარმოებებს შევადარებთ. ეს კი მხოლოდ მწერლობის ისტორიის მტკიცებულებას საჭიროებს, ან უფრო რომ იმ მეტრიკითა საჭირო, რომელიც სპეციალურად ზღაპრებსა და იგავებს იკვლევენ“<sup>2)</sup>.

(прим. 73), 111 არაკის შესახებ „Этотъ разсказъ имѣеть поразительное сходство, за исключеніемъ незначительныхъ подробностей съ однимъ разсказомъ Синдабадова цикла въ 1001 ночи,, (прим. 99), 120 არაკის შესახებ „ср. Анвари—Сох...у Эзопа...въ Панчатантрѣ“ (прим. 105), 132 არაკის შესახებ „Весьма распространенная басня. сравн. „Кули“ Индѣйскія сказки и легенды, собр. И. П. Минаевымъ...“ (прим. 111). 135 არაკის შესახებ „ср. Индѣйскія сказки и проч. И. П. Минаева“ (прим.), 160 არაკის შესახებ „нѣчто подобное и въ Nitopades't“ (прим. 119).

<sup>2)</sup> „Вопросъ о томъ насколько оригинальны и туземны разсказы, входящіе въ составъ къ, Мудрости и лжи—вопросъ столь интересный и важный, можетъ быть разрѣшенъ посредствомъ сравненія ихъ съ этого рода поэтическими произведеніями другихъ народовъ; это дѣло специалистовъ и исторіи Всеобщей Литературы, или даже специально занимающихся отдѣломъ сказокъ и басень этой науки“. (Ал. Цагарели. книга Мудрости и лжи. 1878 г. 33. X).

მართალია, თუშტა შემდეგ ჰრ. ცაკარელი ამბობს, რამდენადაც მე შევატყე საბას თხზულებაში უცნო ხალხთა იგავ-არაკების კრებულებიდან ცოტა რამ უნდა იყოს შეტანილი და ამის გამო „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი ზემო აღნიშნულ კრებულებიდან, მგონი, არც გადმოთარგმნილი, არც მინახაძი, არც გადაკეთებული უნდა იყოს, რომ იგი ქართულ ორიგინალურ ნაწარმებად უნდა ჩათვალოს (ibid. გვ. XI), მაგრამ იქვე ფრთხილად უმატებს: „რასაკვირველია, შესაძლებელია იგი (ესე იგი სიბრძნე-სიცრუის წიგნი) ისეთ რომელიმე წყაროდან ყოფილიყოს ამოღებული, რომელიც ჯერ აღმოჩენილი არაა; იქნება მისი პროტოტიპი ოდესმე თვით ქართულ მწერლობაში აღმოჩნდეს. <sup>3)</sup> რეგორც მკითხველი დაინახავდა, ჰრ. ცაკარელი გადაჭრილს და საბოლოოს არას ამბობს; უფრო სამართლიანად მას შემდეგი მოსაზრება მიაჩნია: „მე მგონია, ამბობს იგი, ჭკუასთან უფრო ახლა (უფრო შესაძლებელია ვიფიქროთ) ვიფიქროთ, რომ (სიბრძნე-სიცრუის) წიგნის გეგმა თითონ ავტორს ეკუთვნის; იგავების, ზღაპრების და არაკების უმთავრესი (სახატო, საკმაო) ნაწილი-კი ხალხისაგან არის შეთვისებული. საქართველოს უველა კუთხეებში ხალხი ესლაც მოგვითხრობს ამ ზღაპრებს,—უფრო შესაძლებელია საბას აელა ხალ-

<sup>3)</sup> „Конечно, это не исключает возможности, что она заимствована изъ какого нибудь другого источника, быть может еще неизвестнаго, а может быть ея прототипъ найдется со временемъ въ самой грузинской литературѣ“ (ibid გვ. XI.).

ხიდან, ვიდრე „სიბრძნე-სიცრუის“ ხელთ-ნაწერ წიგნებიდან ხალხში გავრცელებულიყო. დასასრულ ის იგავ-არაკები, რომელთაც თვალ-საჩინო მსგავსება აქვთ სხვა ერთა მოთხრობებთან, (უცხო ერებისაგან) შეთვისებულია იეოს <sup>4)</sup>. მეთხველი დაინახავდა, რომ ჰრ. ცაკარელი საბა ორბელიანს მარტო „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნის გეგმას აკუთნებს, იგავები ავტორს ხალხში გაკონიღი ექმნება და შეგროვილია; ამ იგავ-არაკების შიკის ჰრ. ცაკარელის აზრისამებრ უცხო ხალხთა თქმულებებიც უნდა იეოს შერეული. შერე განა ჰრ. მარტი ამტკიცებდა რადისმე, რომ გეგმასაბა ორბელიანს არ ეკუთვნისო? არც რადის!.. ჰრ. მარტი სწერდა მხლად: „სასურველია უფრო მტკიცე აზრი დამყარდეს ზემო აღნიშნულ ქართულ ძეგლის (ПАМЯТНИКА) წყაროების შესახებ.“ <sup>5)</sup>. ჰრ. მარტი მხლად ერთ ჰრ. ცაკ-

4) „Мнѣ кажется, скорѣе слѣдуетъ допустить, что планъ книги принадлежитъ самому автору; заключительная же часть басень, сказокъ, анекдотовъ заимствована изъ устъ народа, который рассказываетъ ихъ и теперь во всѣхъ закоулкахъ Грузіи, куда едва-ли они перешли изъ рукописныхъ экземпляровъ кн. Мудрости Лижи, а скорѣе обратно. Наконецъ, тѣ рассказы, которые представляютъ очевидную аналогію съ рассказами другихъ народовъ, могутъ быть заимствованы“. (ibid. XI).

5) „Прежде тѣмъ пользоваться для сличенія въ научныхъ цѣляхъ баснями изъ книги Мірской Мудрости, желательно бы установить болѣе прочный взглядъ на источники названнаго Грузинскаго памятника“. (Сборники притчъ Вардана, часть I, 516, прим. 2).

გარდას მუხედულებას არ ეთანხმება: თუ ხალხი საქართველოს უკუაა კუთხეებში ესლას რამელიმე არაკს მოგვითხრობს, ეს გარემოება არ ამტკიცებს იმ მოსაზრებას, ვითომც საბა ორბელიანს უპეტესი ნაწილი თავის იგავ-არაკებისა ხალხიდან შეუთვისებინოს; <sup>6)</sup> იმიტომ არ ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ხალხს საბა ორბელიანის ღრეს არც-კი სტოდნოდეს ეს იგავ-არაკები; ვისაც ჭურს დაამტკიცოს, რომ საბა ორბელიანის მოთხრობები და არაკები მართლაც ხალხურია, ხალხისაგან გაგონილი, იმან უპირველესად უნდა დაამტკიცოს, რომ საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიღრუს წიგნის“ დაწერამდე ხალხში უკვე გავრცელებული იყვნენ ზემო აღნიშნული იგავ-არაკები. ეს-კი ჯერ არც გამორკვეულია, არც დამტკიცებული, ე. ი. საკითხი გადაწყვეტილი არ არის და პრემო. მარტი ამობდა მხლად, სსურველია ეს საკითხი გამორკვეს და საბოლოოდ გადაწყდესო. პრ. მარტს არც რადის არ უთქვამს, ვითომც „სიბრძნე სიღრუსის“ ნასესხი, თარგმანი უნდა იყოს მეტ-ნაკლებობითაო“ და თუ ბ. გოგებაშვილი პრ. მარტს ამ აზრს თავზე ახვევს, ამის მიზეზი ერთი და იგივე უნდა იყოს: ამ

<sup>6)</sup> აი თვით პრ. მარტის სიტყვები: „Существоющее пока мнѣніе, будто если не всё, то значительная часть басенъ, сказокъ, анекдотовъ, вошедшихъ въ Мірскую Мудрость „заимствована изъ устъ Грузинскаго народа“ (Ал. Цагарели, ор. с. стр. XI) еще не можетъ считаться окончательнымъ: фактъ распространѣнія ихъ теперь „во всѣхъ закоулкахъ Грузіи“ самъ по себѣ ничего еще не д казываетъ“. (Сборники притчъ Вардана, ч. I, 516, пр. 2).

შემთხვევაში მას ან წაკითხული არ უნდა ჰქონდეს ჰრ. მარკის სემო აღნიშნული 20 სტრიქონი, ან არა და განზრახ დაუმახინჯებია ჰრ. მარკის სიტყვები.

ყოველი პირუთვნელი მკვლევარი დაეთანხმება ჰრ. მარკს, რომ თუ ესლას ხალხი მოგვიტოხრობს რომელსამე არაკს, ეს იმას არ ამტკიცებს, ვითომც ეს არაკი გავრცელებული ყოფილიყო სხვა ორბელაინის დროსაც.

მეორეს მხრივ ცხადია, რომ ბევრი ისეთი თქმულება და არაკი არის გავრცელებული ჩვენ ხალხში, რომელიც უცხოეთიდან შემოტანილია და ნამდვილ ეროვნულ თქმულებათა ჯგუფს არ ეკუთვნის. მეცნიერებამ კაი ხანია გამოარკვია, რომ მრავალი სხვა-და-სხვა ხალხთა თქმულებები: საგმირთა ლექსები და არაკები, რომელნიც საუკუნოების განმავლობაში ეროვნულ, ადგილობრივ ნაწარმოებად მიიჩნდათ, უცხოეთიდან ყოფილან შემოტანილნი. მოვიყვანო რამოდე თვალსაჩინო მაგალითს: ვგელას კარგად მოქსენება, რომ ვილჰელმ ტელის თქმულება შვეიცარიის კანთავის-სუფლების შესახებ შვეიცარიელთა ეროვნულ თქმულებად ითვლებოდა; ამ თქმულებას შვეიცარიელნი იმდენად ნამდვილ, ჭეშმარიტ და ნაციონალურ და ისტორიულ კარდმოცემათა სთვლიდნენ, რომ ვილჰელმ ტელს თავის ქვეყანაში ძეგლიც-კი აუგეს. მაგრამ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს თქმულება სრულებით უაღბია, ადგილობრივ შვეიცარიული-კი არა, არამედ ირლანდიიდან შვეიცარიაში გადმოტანილი გერმანოვანის-მცემლობის დროინდელი თქმულებაა (იხ. Bernheim, Lehrbuch d. histor. Methode, 1889 წ. გვ. 229—32 იქვეა აღნიშნული ვგელას წყაროები იმ საკითხის შესახებ).

მოვიყვან შეიძლება მკვლევარი: ქართველმა ში-  
ხველმა საზოგადოებამ კარგად იცის ბალაგარის,  
ანუ ბალაგარის და იოდოსის ამბავი, უგულის  
გაკონილი ექმნება, რომ „სიბრძნე ბალაგარისა“  
ექვთიმემ ქართულიდან ბერძნულად გადათარგმნა.  
ბიზანტიის ეკლესიამ ეს ბალაგარი წმინდანად ჩა-  
რიცხა; მეცნიერებამ კი, რომელსაც უნდოდა  
გაეგო, საიდან და როგორ გავრცელდა ეს მოთ-  
ხრობა, დაამტკიცა, რომ „სიბრძნე ბალაგარისა“  
გადაკეთებული ბუდდას ცხოვრებას და ნამდვი-  
ლად ქრისტიანობასთან არავითარი კავშირი არა  
ქმნია, თუმცა ეს თქმულებაც მრავალ საუკუნე-  
ბის განმავლობაში ნამდვილ საეკლესიო გადმო-  
ცემად ითვლებოდა.

✓ მესამე მკვლევარი ინგლისს შეეხება: დიდი  
ხანია ბრიტანიაში საეკლესიო თქმულება გრადის  
შესახებ გავრცელებული იყო, რომ ბრიტანიაში იოსებ  
არქიმთიელმა გაავრცელა ქრისტიანობა. ამ თქმუ-  
ლებას ერთს დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა  
და უგულის ეჭვიანულად გადმოცემად მიიჩნდა,  
მაგრამ ესეც მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ეს  
თქმულება შესაძლებელია შეთხზული, ირლან-  
დასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა და ბრი-  
ტანიაში მხოლოდ მე-XII საუკ. შემდეგ შეთხ-  
ზებული იყო ეს თხზულება და გადაკეთებული<sup>7)</sup>.

<sup>7)</sup> „Въ основѣ первой части Grand saint  
Graal лежитъ какая-нибудь мѣстная леген-  
да о Юдейско-христіанской діаспорѣ въ  
сѣверной Месопотаміи; легенда сирійская...  
около 1135 г. у Вельгельма Мальмебер-  
гійскаго, и уже въ его источникѣ пока-  
зывается неясное извѣстіе объ Іосифѣ, дру-  
гѣ ат. Филиппа, но уже какъ о проповѣд-  
никѣ христіанства въ Британіи“. (А. Весе-  
ловскій, Извѣстія отдѣл. Русскаго языка и  
слов. Импер. Академіи наукъ, 1900 г.  
томъ V, стр. 448).

ასეთივე ბედი ეწია რუსულ თქმულებასაც ანდრია მოციქულის კიევში ქადაგების შესახებ: სასულიერო აკადემიის ჰრეფ. გოლუბინსკიმ დაამტკიცა, რომ ეს თქმულება სავსტო და დასაჯერებელი არ არის <sup>8)</sup>.

ზემო მოყვანილ მაგალითებიდან მკითხველი ცხადად დაინახავდა, რომდენად ძნელია იმის გადაწყვეტა, თუ რომელი თქმულება და ამბავი ნამდვილადაა ეროვნული, ადგილობრივი, რომელი კიდევ უცხოეთიდან შემოტანილი, — რომ ამის გამორკვევა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. არც ერთი განათლებული ქვეყანა არ არსებობს დედამიწის ზურგზე, სადაც მეცნიერებს არ დაემტკიცებინათ, რომ ბევრი ერთ დროს ეროვნულ და ადგილობრივ თქმულებებად აღიარებული არაკები და საკმირო ლექსები უცხოელებისაგან არიან შეთვისებული. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ზოგიერთ, ან იქნებ ბევრს იგავ არაკებს,

<sup>8)</sup> „Древнимъ временамъ и древнимъ людямъ извинительно было создавать легенды; но на насъ въ свою очередь лежитъ обязанность отличать легенды отъ настоящей исторической истины.. Сказаніе объ апостолѣ Андреѣ говорить, что онъ былъ въ Россіи потому, что хотѣлъ черезъ нее пройти изъ Греціи въ Римъ: ясно, что сказаніе есть вовсе неудачный вымыселъ, ибо оно заставляетъ апостола итти путемъ, который не только 50 разъ длиннѣе обыкновеннаго, но который въ его время просто былъ совершенно неизвѣстенъ... Нельзя и совершенно цѣлѣбно допустить, чтобы тѣлесно посетилъ нашу страну одинъ изъ апостоловъ“. (Пр. Голубинскій, Исторія рус. церкви, томъ I, стр. 9—10, 1880 г.).

რამეზნიც საბას თავის თხზულებასში შეუტანია, იგივე ბედი ეწიოს. მხოლოდ, ეწევა თუ არა, ეს ჯერ გამორკვეული არ არის და ვრ. მარტი სწერდა, საჭიროა ეს საკითხი გადაწვევითი იქმნას. დიასაც რომ საჭიროა გამოიკვეს, რა არის ნამდვილი ქართული და რაა შემოტანილი უცხოეთიდან. ამგვარ გამოკვლევას რომ შესდგომოდნენ, აქამდისინ უკვე შესწავლილი იქნებოდა ისეთი ნამდვილი ეროვნული თქმულებები, რომ გორც ამირანის თქმულებას, აგრეთვე მრავალი კერპთაუფანისმცემლობის დროინდელი ზნე-ჩვეულებანი და საგმირო ლექსები.

შემდეგ ბ. გოგებაშვილმა გასაცარი ცილის-წამება იკადრა: „ჩვენს პრფესორს, ბრძანებს იგი, თითქმის პირად შეურაცხყოფად შიანდა, როცა ქართველი მოღვაწეები კრიტიკულად ეხებოდნენ მის უკუდმართს აზრებსა და იცავდნენ ჩვენის წარსულის თავისებურებას, და დაურიდებლად ყრილობდა მათზე ჯავრსა. იგი ერთს თფიციალურს გამოცემაში, სახელდობრ „Журналъ Министерства Народнаго Просвѣщенія“-ში, თავის მოწინააღმდეგეებს ისენიებდა, როგორც შოვინისტებს, მეომარ პატრიოტებს, რასაც შეეძლო სასიფათო ჩრდილი მიეყენებია მეტადრე მათთვის, რომეზნიც ავტორისაგით სახელმწიფო სამსახურში იფენენ („ბურჯი ერფ.“ 52). საბუთიანი შენიშვნა და პასუხი ვრ. მარტს არც როდის არ მიუღია პირად შეურაცხყოფად, შეუცდომელი არაფინა ქვეყანაზე და მეცნიერებას, როგორც სპარსელმა პეტრმა საადიმ სოქვა, უკამათოდ აჩსებობა არ შეუძლიანო. მაგრამ საქმი იმასშია, რომ ხშირად საბუთიან პასუხის მაგიერ აბდა-უბდა წერილები იბეჭდება ხოლმე. ბ. გო-

გებაშვიდი არ ასახელებს, საგელდობრ უურნალის რამელ ნომერში უძახდა თავის მოწინააღმდეგეებს შოვინისტებს და მეომარ ჰატრიოტებს, მაგრამ, უეჭველია, ჰრ. მარტის ზასუხი ბ. პ. ჯანაშვილის მიმართ მას უნდა ჰქონდეს სახეში (1890 წ. № 10). ჰრ. მარტმა 1895 წ. (№ 6) იმავე უურნალში ამირან-დარეჯანიანის შესახებ ერთი გამოკვლევა დაბეჭდა, სადაც ამ მოთხრობის მომქმედ ჰირთა სახელების და დედა აზრის მიხედვით ამტკიცებდა, რომ იგი ქართველის დაწერილი-კი არა, სჰარსულიდან უნდა იყოს ნათარგმნი. ამ დასკვნის დარღვევას ბ. ჯანაშვილი ცდილობდა („მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი“), მაგრამ ისე, რომ მის ნაწერს სწორედ ის „ადუოკატური გამოსარჩლებითი ხასიათი“ ჰქონდა, რომელიც ასე მოსწონს ბ. გოგებაშვილს. ამ ადუოკატურ „სამეცნიერო“ წერილის დარღვევის შემდეგ ჰრ. მარტი ამბობდა: „ამ გვარ შეცდომების მიზეზი უცოდინარობა კი არაა, არამედ ის გარემოება, რომ სამეცნიერო გამოკვლევათა წერის დროს ჰატრიოტულ გრძობით ხელმძღვანელობენო. კავკასიაში, სწერდა იგი, უგელას არა სცოდნია, ან უფრო რომ არა სდომნიათ უური ათხროვან იმ ჰეშმარიტებს, რომელიც Jonckbleot-ის Etude sur le roman de Renard (1863, გვ. 48) ის ერთს წინადადებითაა გამოთქმული: „**მშვენიერი** რამაა სამშობლსადმი სიუვარული, მაგრამ მაინც კაცი გადაჭარბებს უნდა უფროხოდეს, მეტადრე მაშინ, თუ ამნარო გადაჭარბება ჩვენს მსჯელობას ამა-

ხინჯებს“ \*). როგორც შეითხველი დაინახავდა, აქ არც მეომარ პატრიოტობასუკა ლაშარაკი, არც სამშობლსადმი სიუვარულია დაკმობილი; პირ-  
იქით, პრ. მარკი Jonckbloet-ის პირით ამბობს  
„მშვენიერი რამაა სიუვარული სამშობლსადმი  
სასოკადლებრივ მოღვაწეობაში, ცხოვრებაში,  
მხოლოდ შეცნიერებაში კაცს სიფთხილუე სჭირია,  
რომ გადამეტებულმა პატრიოტულმა გრძნობამ  
ჩვენ სამეცნიერო მსჯელობასუკ მავნე კავლენა  
არ იქონიოს, ესე იგი რომ სამეცნიერო პირუთ-  
ვნელობა არ დაირღვესა.

მხოლოდ ჩვენებურ მშიშარა და ლახარ მამული-  
შვილებს შეუძლიანთ იფიქრონ, ვითომც ზემო-  
მოყვანილ წინადადებას შეეძლო სახიფათო ჩრდი-  
ლი მიუეენებია შეტადრე მათთვის, რომელნიც  
ავტორისავით სახელმწიფო სამსახურში იყვნენა.

ხოლო რომ პრ. მარკის ზემოაღნიშნული გა-  
მოკვლევა, საცა იგი ამტიცებდა „ამირან-დარეჯან-  
ნიანი“ ქართული ორიგინალური ნაწარმებო-ვი

---

\*) „Виновать тутъ не одинъ недостатокъ  
спеціальныхъ познаній; гораздо больше со-  
дѣйствуетъ появленію въ печати такихъ  
„научныхъ“ трудовъ неумѣстный въ науч-  
ныхъ вопросахъ патріотизмъ. На Кавказѣ  
далеко не всѣ знакомы или не желаютъ  
считаться съ тою истиною, которая выра-  
жена въ извѣстной фразѣ Jon kbloeta въ  
Etude sur la roman de Renard, 1863, стр.  
48): „прекрасная вещь любовь къ отечеству  
(въ нашемъ случаѣ—къ родинѣ), но слѣ-  
дуетъ остерегаться преувеличенія, особенно  
если это преувеличеніе приводитъ къ извра-  
щенію нашего сужденія“ (Жур. Мин. Н.  
Пр. 1895, № 10, стр. 328).

აწას, სწავსუდიდან უნდა იყოს ნათარგმნი, ზირთუფნელად და მეცნიერულადაა დაწერილი, ეს ცხადად დამტკიცდა შემდეგში: მე-XVI საუკ. მწერლის ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვები გვიჩვენებენ, რომდენად სწორე და სამართლიანი იყო ზრ. შარრის ფილოლოგიური გამოკვლევა „ამირან-დარეჯანიანი“-ს შესახებ. ბატონიშვილი ბაგრატ თავის „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთა“-ში შემდეგ საუბრადღებო და საბოლოო ცნობებს გვაძლევს „ამირან-დარეჯანიანის“ შესახებ: „წიგნი იგი როლსა უისაი ჳამზად უწოდენ სარკინოზნი ამათ ისმაიტელთა ცხოვრებაჲ არს ჳ მის წიგნისაჲ მცირედი რაჲმე ნაწილი თარგმანებულ არს ენასა ზა ჩვენსა ქართულსა გარეშეთა კაცთა შიერ რლსა დარეჯანიანად უწოდენ და არა თუ ეგე ვითარითა სიმზნით ახოვან იუვენეს ზა გვითხრობს ჩვენ წიგნი იგი ად მათ შიერითა ზღაპრობითა გავრცელებით აღუწერიეს მოთხრობაჲ იგი“ (იხ. Известія Имп. Академіи Наукъ Истор. Филол. Т. X, № 2, 1899 г. გვ. 244, ვისაც სურს შეუძლიან თვით ხელნაწერი ნახოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგ. № 126, გვ. ბ, 8). ამ გვარად ზრ. შარრის ქართულ „ამირან-დარეჯანიანი“-ს ტექსტის შესწავლაზე დამყარებულ არს მე-XVI საუკ. ქართულ მწერლის მოწმობა სრულად ამართლებს. \*), ჩვენ შევატყუეთ აგრეთვე,

\* ) ბ. მ. ჯანაშვილი, რასაკვირველია, კმაყოფილი არ არის, იგი სწერს: „Н. Я. Марру достаточно этих неопредѣленных данных, чтобы прямо заключить, что этот-то „Дареджаниани“ и есть „Амиранъ-Дареджаниани“ Мосе Хонели“ (Извѣстія Груз. лѣтописей... Сбор.

რომ ჩვენი „ამირან-დარეჯანიანი“ მხოლოდ ერთი მცირედი ნაწილია სპარსული დედნისა. მე-XVI საუკუნეში ჯერ კიდევ სტოდნიათეს, მე-XVII საუკუნეშიაც (იაკობ შემოქმედელი), მე-XVIII და XIX საუკუნეებში კი დავიწეებით; ეს უფიცობაა, სხვა არაფერი, რასაკვირველია; ბ. გოგებაშვილის სიტყვებიდან-კი გამოდის, ვითომც სამშობლოს ნამდვილ სამსახურს ის უწევდეს, ვინც ჩვენ წარსულის შესახებ უფიცობას იცავს, ხოლო ვინც უფიცობას არღვევს და ჭეშმარიტ და სამეცნიერო ცნობებს ავრცელებს, იგი „უკუღმართი აზრების“ მომხრე იყოს და „ჩვენ წარსულის თავისებურებას უარყოფდეს“!

\*  
\* \*

დასასრულ ზეგუხის ტყაოსნის“ შესახებ. „ამ თორმეტი წლის წინად, ბრძანებს ბ. გო-

Матер. для опис. мѣстн. и плем. Кавк., გვ. 98). ნეტა ყოველთვის ასეთი გარკვეული და ცხადი საბუთები მოეყვანათ ხოლმე ყველა ჩვენ მკვლევარებს!.. ბაგრატი ამბობს, ისმაიტელთა ცხოვრებაა და შიგ გაზვიადებული მოთხრობაა მათ ახოვნებისაო—„ამირან დარეჯანიან“-შიაც მაჰმადიანთა ცხოვრება და ახოვნებაა სწორედ გაზვიადებით დასურათებული; შემდეგ ბაგრატი უმატებს, რომ ქართული თარგმანი დედნის ერთი ნაწილია მხოლოდ „ამირან დარეჯანიან“-საც ეტყობა, რომ მას თავი უნდა აკლდეს, მაგ. იქ დარეჯანიანის არც ჩამომავლობის, არც სიკაბუჯის შეახებ ცნობები არ მოიპოვება, ავტორი მის დავაჟაკების და რაინდობის დროს გვიხატავს მხოლოდ. დასასრულ იგი ამბობს, ქართველები მას „დარეჯანიანს“ უწოდებენო, მოსე ხონელის ნაწარმოებსაც „ამირან დარეჯანიანი“ ჰქვიათ. მეტი მსგავსების მოყვანა საჭირო არ ირის, რომ ამ ორ თხზულების იგივეობა დამტკიცებულად ჩაითვალოს. ბ. ჯანაშვილი განცვიფრებით კითხუ-

გებაშიღი, ჯაღად გამოატყდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თარგმანია ლექსად სწავსული ჰრესული მოთხრობისა, და მის დედანს მოკლე ხნის განმავლობაში აღმოვაჩინა. მთელი თორმეტი წელიწადი ეძებს დიდი ძებნით და მსგავსი ვერაფერი აღმოაჩინა ვერც ევროპაში და ვერც აზიაში; მაგრამ თქვენ გგონიათ გატყდა თავისს შეცდომაში... ახა რა საკადრისია. ეს ხომ ღაჩრობა იქმნებოდა. ის უხლაც გამალებული ეძებს „ვეფხისტყაოსანის“ დედანს და, მანამ ცოცხალი იქმნება, ამ ძებნას არ ამოიშლის“... („ბურჯი ერეკ.“ გვ. 51).

ამ საგანზე ბევრი რამ თქმულა; ვინც არ გინდა ამასე ჩამოკვდებს ხოლმე ღაჭარაკს, თუმცა საკითხი იმდენად რთულია, რომ მხოლოდ მომზადებულს და აღმოსავლეთის მწერლობის განსა-

---

ლობს: „мы недоумѣваемъ, что могъ взять Іаковъ Шемокмедели (авторъ сочиненія „Преніе невѣрнаго Мухамеда и христіанъ“...) изъ „Амиранъ-Дареджаніани“ для доказательства правильности догматовъ христіанской религіи и лживости ученія Магомета“ (ibid. გვ. 98). გასაკვირველი არაფერია: იაკობ თითონ ამბობს ამირან დარეჯანის მოთხრობა მანმადიანთა ცხოვრების და ახოვნების შესახებ სიცრუვა „ზღაპარს მტკიცედ დასაჯეროს გვეტყვის, ასე ენა მჭევრობს,

„მაგრამ ყველას ხელ ერთობით სჩმანავს, ცუდად სიტყვა-პრტყელობს.

„და ტყუილისა დიდვაჭარი სიცრუვისა ქულბაქს ტრელობს“... რომ მაჰმადიანნი საზოგადოდ არიან:...“ ღვთის მგმობელნი,

მესისხლე და მეშფოთენი, ცრუფიც-მპარავ-მტაცებელნი“... (Маррѣ. Изъ книги Ц-ча Баграта, Изв. Авод. Наукъ Т, X, № 2,245).

კუთრებულ ცოდნის პატრონს შეუძლია საფუძვლიანი რამ გამოსთქვას. მაგრამ რა ვუყოთ, რომ საკითხი რთული და ძნელია? ჩვენში, გიოტესი არ იყოს, ყველას, ვისაც-კი ენა აბია, ჭკონია, რომ ენისა და მწერლობის შესახებ ლაპარაკი შეუძლიან...

ბ. გოგებაშვილი ბრძანებს, „ლადღად გამოაცხადო“, — ზრ. მარკმა იმიტომ „გამოაცხადა ლადღად“, „გეფხის ტყაისანი“ გალექსილი და შემუშავებული სპარსული, — იგი შოთას წინაღუენათარგმნი იყო — ამბავიაო, რომ ამას თვით რუსთაველი აცხადებს:

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები  
„ვპოვე და ლექსად გადავქმენ საქმე ვქმენ საქოტმანები“.

თუ ეს გამოცხადება სილაღია, ეს სილაღე შოთას მოსვლია. ამის გარდა თვით შინააწიდან ცხადად სჩანს, რომ მოთხრობა სპარსულ-მაჰმადიანურია, რაც უფრო ამართლებს შოთას ცნობას. ამის გამო ზრ. მარკს და ყველას სხვას, ვისაც კი ჭკურდა ეს საკითხი საბოლოოდ გამოერკვია, უნდა მოეძებნა ამ მოთხრობის სპარსული დედაი, ან ის ქართული თარგმანი, რომელიც რუსთაველს ხელთა ჭქონდა, — რომ გამოჩნდეს, თუ რამდენად შეუცვლია და შეუმუშავებია ჩვენს ეკვდავ მკლასანს თავისი მასალა. ერთს ხელთ-ნაწერში, რომელიც ბრიტანიის მუზეუმის კატალოგშია აღწერილი, სათაურის მიხედვით შესაძლებელი იყო ზრ. მარკის აზრით ეს მოთხრობა აღმოჩენილი იყო. ესა სთქვა კიდევ. მაგრამ აღამიანს იმედი ხშირად გაუცრევდება ხოლმე; ამ შემთხვევაშიაც ასე მოხდა, ხელ-ნაწერში ეს მოთხრობა არ აღმოჩნდა. რა გასაკვირველია, მერე ზრ. მარკი რომ

შინც სხარსულ მოთხრობას ეძებს, ეს თვითეულ  
 ქართულ მწერლობის მკვლევარის მოვალეობაა, მა-  
 გრამ სულ სხვა შეხედულება აქვს ამის შესახებ  
 ბ. გოგებაშვილს და ჩვენ საზოგადოების ერთს  
 ნაწილს. რათა?—იმიტომ, რომ იმათ ჰგონიათ,  
 ვითომც აღმოჩნდება თუ არა სხარსული მოთხრო-  
 ბა, მაშინვე შოთა რუსთაველის ნაწარმოებს უკვდა-  
 ვების სხივი მოაკლდება. ხოლო ეს შიში აღ-  
 მოსავლეთის მწერლობის უცოდინარობისა გამო-  
 არის წარმომდგარი. ჩვენში ჰგონიათ, ვითომც ზო-  
 ტმა თავის თხზულებისათვის უეჭველად თვით უნდა  
 შექქმნას არაკი (ფაბულა), ვითომც შინაარსი აუცი-  
 ლებლად ორიგინალური უნდა იყოს. ეს აზრი-გი დი-  
 დი შეცდომა გახლავთ ესლა დიხატ გოგია. წინაა,  
 მეტადრე აღმოსავლეთს საშუალო საუკუნეებში  
 ამისთანა აზრი სრულებითაც არ არსებობდა, ფი-  
 ქრადაც არავის მოსულია ეს. ჩვენ არც რადის  
 არ უნდა გვაფიქვადებოდეს, რომ აწინდელ და  
 ძველ დროინდელ შეხედულებათა შორის დიდი  
 განსხვავებაა, რომ ჩვენი თანამედროვე შეხედუ-  
 ლება ზოტურ შეშქმედებით ნიჭზე სრულებით  
 არ შეეფერება იმ ხანას, როცა შოთა რუსთაველი  
 ცხოვრობდა. იმიტომ დიდი შეცდომა მოსდით  
 იმათ, ვინც აწინდელ შეხედულობისა და კრიტი-  
 კულ მოთხრობილებათა მიხედვით „გეფნის ტყა-  
 სანსა“ სჯის, ვინც ფიქრობს, რომ, რაკი შოთას  
 თავის თხზულებისათვის შინაარსი სხარსულიდან  
 აუღია, ვითომც ამით შესანიშნავ მკაცრის შემ-  
 ქმედებით ნიჭს რაიმე წუნი ედებოდეს. სრულე-  
 ბითაც არა. სხარსულ მწერლობის ისტორიიდან  
 მრავალ მაგალითების მოყვანა შეიძლება, რომელ-  
 ნიც ცხადად გვიჩვენებენ, რომ საშუალო საუკუ-  
 ნეებში აღმოსავლეთის ზოტებს და მწერლებს

საჭიროდ არ მიაჩნდათ თავიანთ თხზულებებისათვის  
ახალი „სიუჟეტი“ აეღოთ; იმათ ფიქრდაც არ  
მოსვლიათ, რომ ვისმეს შეეძლო რაიმე წუნი  
დაეღო ამის გამო მათ ნაწარმოებისათვის; თვი-  
თოეულ პოეტს თავისუფლად შეეძლო თავის  
თხზულებისათვის სხვა მწერლის ნაწარმოებით  
ესარგებლნა; ხელფანება მხოლოდ იმაში მდგარა-  
რეობდა, ვინ უფრო უკეთესად და უფრო ღრმად,  
თანაც ღამისად გამოსთქვამდა და გალექსავდა  
მოთხრობას. მაგ. ფანს უდდინ ასად-ალსტა-  
რბადი ალჟურჯანის თხზულება „ვისურამინ“  
(ვისრამინ) კვალდაკვალ მისდევს და იმეორებს  
ერთს თხზულებას, რომელიც ფაქლაურად (ძველი  
სპარსულია) იყო დაწერილი, ამ ნაირად მისი  
თხზულება ფაქლაურიდან გადმოთარგმნილი გალექ-  
სილი მოთხრობას.

ამ გვარადვე უნსურის თავის თხზულებისათვის  
„ვაშიუ და აზრა“ მასალად ერთი ძველადვე  
გალექსილი თქმულება ჭქონდა. ამისდა მიუხედა-  
ვად, უნსურის თხზულების დაწერის შემდეგაც  
ექვსმა სხვა სპარსელმა პოეტმა კიდევ შესთხსა  
იმავე შინაარსის ნაწარმოებნი. ხოლო უფრო  
საუურადლებო ისაა, რომ ეს ექვსივე მგოსანი  
უნსურის ნაწარმოებით ხელმძღვანელობდნენ. ამ  
ექვსი პოეტის სახელი იყო: 1.) ფაზინი ჯურ-  
ჯანი, 2.) ქამალ-უდდინ ჭუსაინ დამირი, 3.)  
შუაიბ ჯუშეანელი, 4.) მასულანა მუჭამმედ ალი  
ასტარბადელი, 5.) შირზა მუჭამმედ სადიუნამი  
ალმურავი და 6.) ხაჯი მუჭამმედ ჭუსაინ შირაზი\*).

შესანიშნავ სპარსელთ მგოსან ნიზამმა თავის  
სამივე განთქმულ თხზულებისათვის ძველი მოთ

\*) H. Ethé, ibid. 240).

ხრობები აიღო მასწავლად: „ხოსროს უშირინ“-ისა და „ჭაფთ ფაიქარ“-ისათვის ძველი სხარსული, ხოლო „ლაილა უ მაჯნუნი“-სათვის ძველი არაბული ლექსები; მაგრამ ამის შემდეგაც მრავალზე უმრავლესი მწერლები ცდილობდნენ იგივე მოთხრობები ზოგჯერად შეემუშავებინათ; შერეოვარ, — უმეტესი ნაწილი მათგანი ნიზამის თხზულების შინაარსს კვალ-და-კვალ მისდევდა ხოლმე, ზოგჯერ მხოლოდ აქა-იქ ჩაუმატებდნენ ახალს რომელსაში არაკ, იშვიათად თუ შესცვლიდნენ შინაარსს არსებითად.\*) დასასრულ, ბევრი სხარსული ზოგჯერ სთარგმნიდა აგრეთვე ინდოურიდან და გადააკეთებდა ხოლმე გალექსილ თხზულებებს (H. Ethè, ibid. გვ. 251) და მრავალ სხვა მაგალითების მოყვანა შეიძლება კიდევ.

ერთი სიტყვით, ზემო მოყვანილი მაგალითებიდან ცხადად ჩანს, რომ სხარსული ზოგჯერ თავისუფლად სარგებლობდნენ წინანდელ მწერლების თხზულებებით; ხშირად სულ მცირედი, ჩვენის არცერთ უმნიშვნელო განსხვავება ან არადა მხოლოდ ამის გალექსავა საკმარისი იყო, რომ თავისუფალი ნაწარმოები ახალ თხზულებად ჩეთვალათ; იმ სახელოვან ზოგჯერსაც, რომელთაც მრავალი შედექიები ჭბადავდნენ ხოლმე, იმათაც-კი თითონ არ შეუთხზავთ „სიუჟეტი“, ისინიც ძველ, ხშირად უკვე შემუშავებულ თქმულებებით სარგებლობდნენ ხოლმე. თვით სახელოვან აბდულ უასიმ ფირდაუსის „შაჰნამე“-ს წერის დროს ხელთა ჭქონდა ძველი ერანული ჩაწერილი თქმულებები, იგი კვალ-და-კვალ მისდევდა თავის დედანს, შეიმუშავა და გალექსა თქმულებები. თავის თხზულებაში ფირდა-

\*) H. Ethè, ib. 248.

უსიმ მწერალ დაუიყის 1000 ლექსი-ტი-გი შეიტანა ერანის ისტორიის უძველეს ხანის შესახებ (ივ. Nöldeke, Das iranische Nationalepos, ibid. s. 141 folg.).

ერთი სიტყვით, სხარსელ ჰოეტებმა ჯერ არ იცოდნენ, რომ თვითრეულ მწერალს თავისი საკუთარი „სიუჟეტი“ უნდა ჰქონდეს.

უფრო საეურადღებოა, რომ არც ერთ სხარსელ მწერალს თავის თხზულებისათვის მასალა თანამედროვე ცხოვრებიდან არ აუღია, რასაკვირველია, მეხოტბეთა კარდა, ისიც იმიტომ, რომ „შესხმის“ დაწერა და შირთმევა ჰოეტს მხოლოდ ცოცხლისათვის შეეძლო.

სხვები-კი მასალას ეოველთვის წარსულში ეძებდნენ, თქმულებებში, უკვე შემუშავებულ და გალექსილ მოთხრობებში.

თუ რომანის დაწერას აზირებდნენ, ისინი მაშინვე „ვისი და რამინ“-ის, ან „ლეილა და მეჟუნის“, „ვამეუ და აზრას“ და სხვა მოთხრობებს მოჭკიდებდნენ ხოლმე ხელს, და ფიქრადაც არ მოხდიოდათ თანამედროვე ცხოვრებაში მოქცეხნათ მასალა... რით აიხსნება მერე ეს გარემოება? იმით, რომ მწერლებს დაკვირვების ნიჭი და საზოგადოებრივ ცხოვრების შესწავლის უნარი ჯერ საკმარისად განვითარებული არა ჰქონდათ, იმიტომ რომ ჯერ მწერლობაში რეალურ მიმართულების საჭიროება არა ჰქონდათ შეგნებული. აღმაინი იფიქრებს, რეალურ მიმართულების საჭიროების აზრზე ადვილი რადა იქნება? დიანაც რომ ესლა ადვილი გვეჩვენება, მაგრამ ცოტას განა ისეთი სამეცნიერო კანონი და ჭეშმარიტება, ისეთი აზრი, რომელიც ესლა სრულებით მართივად და ადვილად მიგვაჩნია, მაგრამ მრავად

საუკუნოების განმავლობაში კაცობრიობამ მათი  
 აჩსებობისა არა იცოდა რა?..

დავუბრუნდეთ ისევ „ეეფხის-ტყაოსანს“. შო-  
 თამ, რეგორც თითონ ამბობს, თავის თხზულებ-  
 ბისათვის სპარსული ამბავი აიღო მასალად. ეს  
 ამბავი უკვე „ქართულად ნათარგმანები ჭეჭავა“ და  
 „ლექსად გადათქვა“. ჩვენ ზემოდ დავინახეთ,  
 რომ ასე იქცეოდნენ უველა სპარსელი პოეტებიც  
 დიდით პატარამდე. რუსთველმაც მასალად ისეთი  
 სპარსული ამბავი აიღო, რომელიც მის მოთხრო-  
 ნილებასა და განზრახვას უფრო შეეფერებოდა,  
 მაშასადამე შოთა ისე მოქცეულა, რეგორც მო-  
 იქცეოდა თვითუფლი მამინდელი პოეტი აღმო-  
 სავლეთში. ცხადია, რომ ისინი, ვისაც ჭეჭონია  
 ვითომც ეს გარემოება შოთას უნდა წუნსა სდებ-  
 დეს, დიდად შემცდარნი ბრძანდებიან: თუ სპარ-  
 სეთის მწერლებს სახელს არ უფუჭებდა და არც  
 ეხლა უფუჭებს ეს გარემოება, შოთას რითლა  
 უნდა უშლიდეს? არაფრით. ვინც სხვანაირადა  
 სჯის, იმას ავიწულებს, რომ მე-XII საუკ. მწერ-  
 ლის დიხსებათა და დვაწლის დაფასება მხოლოდ  
 მე-XII საუკუნეშივე არსებულ პოეტურ მოთხრო-  
 ნილებათა და შეხედულობის დაგვარად შეიძლება.  
 შოთას ნიჭს, თუ უნიჭობას ის დაამტკიცებს, თუ  
 რეგორც აასრულა მან თავისი განზრახვა: ხელმო-  
 ნურად, თუ არა, რა ცვლილება შეიტანა თავის  
 მასალაში, რეგორც შეიმუშავა. ხოლო ამისთვის,  
 დახნაც, საჭირო იყო და საჭიროც არის სპარსულ  
 დედანის პოვნა. ეხლა კი ჯერ-ჯერობით მხოლოდ  
 იმის თქმა შეიძლება, რომ შოთამ თავისი გან-  
 ზრახვა ენისა და ლექსთაწერობისა და პოეტურ  
 დასურათების მხრივ საუცხოოდ აასრულა—

„ვეფხისტყაოსანი“ — უკვდავია \*) ბ. გოგებაშვილს რომ ვრ. მარკის თხზულებები გულდასმით წაკითხა \*\*) , თითონ დაწმუნდებოდა, რამდენად აფასებს და თაყვანსა სცემს ვრ. მარკი „ვეფხისტყაოსანს“ და მის სახელოვან მგოსანს. მაგრამ შოთას ქმნილების შესავალი, წინასიტყვაობა ისე ღრმად და ხელოვნურად არის შეთხზული, რომ იმის მეტი არაფერი დარჩენიდა ავტორს, მაინც შესანიშნავ მგოსნის სახელს შობიხუჭდა. „ვეფხისტყაოსანი“ რომ საბოლოოდ და საფუძვლიანად შესწავლილი იყოს, ამისათვის საჭიროა გამკორკვას, თუ რამდენად შესტვალა რუსთაველმა თავისი დედანი. ხოლო რაკი დედანი ჯერ ნახვინი არ არის, ამიტომ მკვლევარმა ამ საკითხის გადასაწყვეტად შეუძლიან ერთად-ერთს საშუალებას მიჭმართეს: გამკორკვიოს, რამედი აზრება შეეძლო მხოლოდ ქრისტიანეს ეთქვას?\*\*\*) რცა ამნაირად „ვეფხისტყაოსანი“ შესწავლილი იქმნება, მაშინ უკანასკნელი საკითხიც გადაწყდება, თუ რამდენად გადაუკეთებია თავისი დედანი სახელოვან მგოს-

\*) ... „Необыкновенные по совершенству стихи и слогь Руставели непревзойдены пока въ грузинской литературѣ и до сихъ поръ остаются неподражаемыми образцами для каждаго грузинскаго поэта“ (Марръ. Разцвѣтъ древнегруз. свѣт. литер. жур. М. Н. 11р. 1899 г. № 12, 235).

\*\*\*) მაგალ. Древне грузинскіе одописцы, Тексты и разысканія по Армяно-Грузинской филологіи, книга IV, стр. 51—57.

\*\*\*) ... „Болѣзненно-острое желаніе видѣть въ поэмѣ цѣликомъ грузинское народно-національное произведеніе затрудняетъ изслѣдованіе, не позволяетъ замѣтить въ ней и тѣ любопытныя, дѣйствительно національныя грузинскія черты, которыя не могутъ не

სანს. სწორედ ამნაირ გამოკვლევას ამზადებს, როგორც მე კერძოდ ვიცი, პრ. მარტი.

მაგრამ შესაძლებელია მკითხველმა იკითხოს: ეს ეგეა კარგი, მაგრამ რით აიხსნება, რომ რუსთაველმა სპარსული ამბავი აიღო ჰომეროს მასალად, განა იმასაც არ შეეძლო ძველ ქართულ თქმულებებით ესარგებლნა, როგორც ზოგჯერ იქცეოდნენ ხელმე სპარსული მწერლები? დიასაც, სწორედ რომ არ შეეძლო და აი რატომ: სპარსული მწერლებიც პირველ ხანებში მარტოოდენ აწახუთ პოეტების ნაწარმოებებსა ჰბაძავდნენ, აწამც-თუ ლექსთა-წეობა, თვით პოეტურ თხზულებათა კარგვანი სახეც-კი სპარსელებმა აწახუთ-საგან შეითვისეს.

ამ მხრივ ქართული მწერლობაც მიბაძვით და თარგმანებით დაიწყო; განსხვავება და ქართულების უპირატესობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ პოეტურ თხზულებების ენა და ლექსთა-წეობის ფორმები ჩვენ მწერლობამ თვითვე შექმნა; იგი სასულიერო პოეზიამ უანდრძა საეროს (იხ. ამის შესახებ Марръ, Разцвѣтъ древ. груз. свѣт. литературы, Ж. М. Н. Пр. 1899

быть признаны отголоскомъ грузинской современной жизни, даже отраженіемъ, быть можетъ и не невольнымъ, обоятельной личности Тамары... Весьма возможно, что внимательное изученіе Барсовой кожи откроетъ въ ней, въ этой стихотворной обработкѣ переводнаго персидскаго романа, сознательную обрисовку знакомыхъ грузину-автору типовъ и явленій въ поэтическихъ намекахъ, особенно ясныхъ для современниковъ. До извѣстной степени эта поэзія намековъ чувствуется и теперь“ .. (Марръ, Древнегрузинскіе одописцы, Тексты и разыск. книга IV, стр. 57).

г. № 12, გვ. 227—28 და Предваритель-  
 ний отчетъ о работахъ на Синаѣ... Сообще-  
 ние Импер. Прав. Палест. общ. т. XIV, ч.  
 II (1903 г.) стр. 39—40). მაგრამ ზოგი-  
 ერთ სპარსელ მწერლები შემდეგში ძველ ერ-  
 ნულ მითხრობების, ზოგჯერ უკვე გალექსილ  
 თხზულებების შემუშავებას შეუდგნენ; ამნიად  
 თუმცა სპარსელი პოეტები თანამედროვე ცხოვრე-  
 ბაში არ ეძებდნენ მასალებს და „სიუჟეტს“ თი-  
 თონ არ სთხზავდნენ, მაგრამ ძველ ერანულ თქმუ-  
 ლებების წყალობით ცოტა არ იყოს მაინც მათ  
 პოეზიას გრძელად ელფერი მკეთონა. ხალხ  
 სპარსელ პოეტებს იმიტომ შეეძლოთ ძველ ერ-  
 ნულ მითხრობების შემუშავებას შესდგომოდნენ,  
 რომ სპარსელების მაჭმადიანობის წინადაც, სსს-  
 ნელთა შეფობის დროსვე საერთო სიტუაციურება და  
 პოეზიის ჰქონდათ, თქმულებები შეკრებულ იყო  
 და ფირდაუსისა და სხვა მწერლების დრომდეც-  
 კი მაღწია, — ძველ ცეცხლთაყვანის-მცემლობის დრო-  
 ინდელმა მწერლობამ და კადმოცემამ გამაჭმადი-  
 ნებულ სპარსეთშიაც თავი გამოყო. საქართველ-  
 ში-კი სულ სხვა მდგომარეობა და პირობები იყო.  
 აქ შეუძლებელი იყო წარმართობისა და ცეცხლ-  
 თაყვანის-მცემლობის დროინდელ თქმულებებს  
 თვალ-საზიარებლად გაუღენა ჰქონოდა ხელგონურ მწერ-  
 ლობაზე, იმიტომ რომ საქართველოში მწერლ-  
 ბა მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ  
 აღმოჩნდა, იმიტომ რომ, რამდენადაც ვინც,  
 ქრისტიანობამდე, ცეცხლთაყვანის-მცემლობის დროს  
 ქართული ხელგონური პოეზია არ არსებობდა.  
 მაშასადამე, მხოლოდ სახალხო პოეზია-და რჩება,  
 მხოლოდ მას შეეძლო გაუღენა ჰქონოდა ქ-  
 რთულ ნორმის პოეზიაზე, რომელიც სპარსულ

სიტუაციების წახადვით აღორძინდა. დიალექტ, შე-  
საძლებელი იქმნებოდა, სასაღხო სიტუაციებისა-  
თვის რომ ჩვენში ეჭვის თვალთ არ შეეხედნათ.  
ქრისტიანობა წარმართობის და კერზთაყვანის-მცე-  
მლობის უოველგვარ ნაშთსა და კვალს სდევნიდა  
ხოლმე და სასაღხო ლექსებისა და სიმღერების  
აღსრულებას უკრძალავდა თავის სამწესოს. თა-  
ტრი იყო, თუ მუსიკა, ახვარეზობა, თუ სხვა  
რამე სავაუკაცო გასართობი, უველაფერს, რასაც  
კი წარმართობასი ან ასე თუ ისე კავშირი ჰქონ-  
და, ცოდვად და სულის წამწეოდ სთვლიდნენ.  
აკი სამღვდელოებას კაიტანა კიდევ თავისი და  
საერო მწერლობა და ზოეზია საბერძნეთში სამუ-  
დამოდ, რომში კიდევ დიდის ხნით მოსზო. ამნაიკსა-  
ვე ზოლიტიკას ადგა სამღვდელოება ასურეთში (იხ.  
M. K. Duval. Notes sur la poésie syriaque.  
Journal Agiatque X, 1897 r.), სომხეთში და  
ჩვენშიაც არუსეთში და სომხეთში სამღვდელოებას  
თავის მიზანს მიაღწია და საერო ზოეზია სამუ-  
დამოდ აღმოფხვრა. სასაღხო, საკმირო ზოეზია  
საქართველოში იყო გავრცელებული: სომეხთა  
ისტორიკოსი მე-XI საუკ. კრიგორი მაგისტრო-  
სი მოგვითხრობს, მაგალითად, რომ ქართველები  
ვაჰკამ ფაჭლაფუნზე ლექსებსა სთხზავდნენ და  
თანაც ცეკვით და სიმღერით მას ღმერთსავით  
ადიდებდნენ (ალიშან, შირაკ, გვ. 153; Мартъ,  
Грузин. изволь сказки о трех остроумныхъ  
братяхъ изъ «Русуданіани», გვ. 228 сбор-  
никъ фак. восточн. яз.); ქართლის ცხოვრე-  
ბაშიაც მოხსენებულის, რომ მე-XI—XII ს.  
ჯარში „სიმღერები“ და „სახიობანი“ სცოდნიათ  
(იხ. ჭიჭინაძის გამოც. ქართ. ცხ. გვ. 372).  
მაგრამ რა თვალთ უუყრებდნენ მას? რამც თუ სამ-

დღეღეღობებს, თვით დიდ ბუნებოვანი, ნიჭიერი მეფე დავით აღმაშენებელიც-კი უკრძალავდა ამ სიმღერებს. ისტორიკოსი ამბობს; „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღვთისა განმარცხებულნი და ყოველი უწესობა მოსპობილიყო ლაშქართა შინა მისთა“ (ქართ. ცხ. *ibid.* გვ. 372). როგორც ხედავთ, სიმღერები „საეშმაკოდ და ღვთის განმარცხებულად“ ითვლებოდა. რათა? იმიტომ, რომ ეს სიმღერები ძველი, ტრადიციული სიმღერების დროინდელი იქნებოდა, როცა ქართველები წარმართები იყვნენ. ამ გვარად სახელოვანმა მეფემ ჯარშიც-კი მოსპო საგმირო ჰოეზია; მდაბიო ხალხს-და უნდა შერჩენოდა იგი; ასეთი ვიწრო წრე შემოიფარგლა დავით აღმაშენებელმა. მერე თუ დავითისთანა განათლებული და დიდბუნებოვანი მეფე ასე სასტიკად სდევნიდა ჩვენს სახალხო სიტყვიერებას და სიმღერებს საეშმაკო გასართობად სთვლიდა, უეჭველია, მაშინდელ ჩვენ განათლებულ საზოგადოებასაც იგი ათვალისწინებული უნდა ჰქონოდა, როგორც მდაბიო და საწარმართო გასართობი.

სწორედ ამის გამო შეუძლებელი იყო შოთას სახალხო თქმულებით ესარგებლნა. ერთად ერთი მწერლობა, საცა საზოგადოებრივი მასალების შოვნა შეიძლებოდა, სპარსული სიტყვიერება იყო: იქ ხელოვნური ჰოეზია უკვე არსებობდა და კაი ხანაა ჰატვი დამსახურებული ჰქონდა.

შეიძლება უფრო ზოგადი დასკვნა გამოვიყვანოთ: სამღეღეღობის წყალობით სახალხო სიტყვიერება იმდენად დაძაბუნებული და ათვალისწინებული იყო, რომ შეუძლებელია ქართული ხელოვნობის საერო მწერლობა სახალხო ჰოეზიის ნიადაგზე

ოცენებუდიეო. ერთად ერთი საშუალებას  
 ღოდ სპარსული მწერლობის მიხედვას განსდდათ.  
 საზოგადოებასა ჰქონია, ვითომც ეს მიხედვას  
 თველების დირსებასა და ნიჭიერებას ამცი-  
 დეს, და ამის გამო ჰრ. მარტის ზემოდსა-  
 ლებულ თხზულებებს მტრის თვალთ უცქერის;  
 რამ დიდად შემცდარი ბრძანდება იგი: ჯერ  
 იი იმიტომ, რომ მიხედვით დაიწყო, როგორც  
 მათ იყო აღნიშნული, თვით სპარსელებმა და  
 ახალხებმა; მაგრამ უურადღების და დაკვირ-  
 ვის დირსია შემდეგი გარემოება: არც ბიზან-  
 ტელებს, არც ასურელებს. არც სომხებს, ერთი  
 დევით არც ერთს აღმოსავლეთის ქრისტიან  
 მის ქართველების გარდა საერო, ხელაზნური  
 ზნის არა ჰქონია, თუმცა ბიზანტიელებიც არა-  
 ის და სპარსების მოსამზღვრენი იუვნენ,  
 მცა ასურელებიცა და სომხებიც სპარსელების  
 ლენის ქვეშ იმყოფებოდნენ; დაის, უველგან  
 სტიანობამა და სამღვდელოებამ საერო ჰოე-  
 და ესტეტიური გრძნობა დახშო, მხოლოდ  
 ერთველში მოწინავე საზოგადოებამ სამღვდე-  
 ებისა და თეოკრატიურ აზრთა ბატონობას  
 ი დაახწია, და მაღალ ესტეტიურ გრძნობას  
 ხელაზნებისაღმა სიუვარულს ფართო ადგილი  
 მთო. აი, რა არის საეურადღებო და შესწავ-  
 ს დირსი. ბევრი ამგვარი საინტერესო საკითხი  
 დება ქართულ მწერლობის და ისტორიის შე-  
 ვლის დრას. ხოლო როცა ჩვენი წარსული  
 რე უკეთესად იქნება შესწავლილი, მაშინ წარ-  
 უდგება ქართველს მკითხველს სამშობლო ის-  
 რიის საინტერესო და მომხიბლავი სუ-  
 ბი. ამისთვის-კი, როგორც არა ერ-  
 ელ იყო ნათქვამი, მასალების პირველდაწვეებითი  
 ტიკული შესწავლასა სჭირო. ჰრ. მარტმა

პირველმა დაიწყო მეცნიერული კრიტიკული მუშაობა. იგი კვლავდაკვალ მისდევს წყაროების შესწავლას და თავის დროზე, იმედია, სამშობლოს ქართულ ლიტერატურის მეცნიერულად შემუშავებულ ისტორიას შესძენს. თუ ჰრ. მარტის ნაწერებს ეხლამტრის თვალთ უეურებენ, ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენში საზოგადოდ ძნელია მუშაობა, მეტადრე თუ მეცნიერი ახალ გზას იკვლევს და კრიტიკულ მამართულებას ადგის: ჩვენ მიძინებულ საზოგადოებას შეწუხებისა და კრიტიკისა ეშინიან და ყოველგან მტრები ელანდება. განა ამ ნაირმავე გარემოებამ არ ათქმევინა ჩვენს ნიჭიერს მგოსანს ი. ჭავჭავაძეს ეს საუცხოო ტაეში:

„ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ ჰმალავს—ვე ხომ ცხადი სიძულვილია, ბრიყვი ამბობენ, კარგი გული-კი მაშინვე სცნობს ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“

ბევრმა გაკა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ეს ლექსი დაიწერა, მაგრამ გარემოება, სამწუხაროდ, ძალიან არ არის შეცვლილი; განა ეხლა-კი არ შეუძლიან საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს, ჰრ. მარტს მაგალითად, ზემო მოყვანილი ტაეში გაიმეოროს? ოდნდაც რომ შეუძლიან!...

მაგრამ მოვა დრო და ჩვენი საზოგადოება თვითვე დაინახავს, ვინ იდგა „უკუდმართობის გზაზე“ ჰრ. მარტი, თუ მისი მოწინააღმდეგენი...



22/11/69  
COT

